პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ.(ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

ხუთშაბათი
4
ივლისი
1935 წ.
№ 154 (4310)

დღის ნომერში

- — ფორმალურად არ მივუდგეთ პარტდოკუმენტების შემოწმებას (მეთაური).
- — ს.ს.რ. კავშირის მიწსახკომში და საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო - სამეურნეო განყოფილებაში (მე-2 გვ.).
- — ფულის ნებაყოფლობით შეგროვების შესახებ.
- — ტფილისის დამკვრელ მასწავლებელთა ჰისალმება ამხ. ლ. ბერიას.
- — საბჭოთა კარელიის 15 წლისთავისათვის.
- — რომენ როლანი სტუმრად მ. გორკისთან.
- — ჩაის კრეფა 1 ივლისისათვის.
- — იაპონიის პოზიციის კრიტიკა გაზეთ „ჯაპან ქრონიკლში".
- — ბეკი ჩავიდა ბერლინში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმალურად არ მივუდგეთ პარტდოკუმენტების შემოწმებას

„პარტიული მეურნეობა" ორგანიზაციული მუშაობის უაღრესად მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენს და ჩვენი პარტიის საუკეთესო ხელმძღვანელები და ორგანიზატორები მას ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას აძლევდნენ. ისინი ყოველთვის სამოქალაქო ომის პერიოდშიაც, სოციალისტური მშენებლობის წლებშიაც, თვითონ პირადად ამოწმებდნენ პარტიული დოკუმენტების გაცემას, სწვდებოდნენ „პარტიული ტექნიკის", „პარტიული მეურნეობის" ყოველ დეტალს.

პარტიული დოკუმენტების აღრიცხვის, გაცემისა და შენახვისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება უდიდეს ზიანს აყენებს პარტიას. საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა პარტიული დოკუმენტის გაცემისა და მისი მოვლა-შენახვის საქმეში უპასუხისმგებლობის არსებობა. რაიკომებისა და პარტკომების სააღრიცხვო ცნობები არ შეესაბამება ორგანიზაციების წევრთა ნამდვილ რაოდენობას. პარტიული ბილეთის გაცემას სათანადო კონტროლს არ უწევენ. პარტიულ დოკუმენტებს დაუდევრად ინახავენ, ხშირად — ღია შკაფებში. ასე რომ ეს დოკუმენტები ხელმისაწვდომი ხდება ყველა გამვლელ-გამომვლელისათვის.

პარტიის წევრების აღრიცხვასა და პარტბილეთების გაცემის და შენახვის საქმეს პარტიული ხელმძღვანელები ანდობენ ტექნიკურ მუშაკებს, ზოგჯერ ჩვენთვის უცხო ადამიანებსაც. თვითონ კომუნისტებიც ძალიან ხშირად დაუდევრად ინახავენ პარტიულ ბილეთს.

პარტიული დოკუმენტების გაცემისა და შენახვის საქმეში ასეთი უპასუხისმგებლობის გამო, ისინი ზოგჯერ ხელში უვარდებოდათ ჩვენი პარტიის მტრებს.

„პარტიული მეურნეობის" ასეთი მდგომარეობა საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა შეუწყნარებლად მიიჩნია და წინადადება მისცა ყველა ორგანიზაციას, უმოკლეს ვადაში „დაამყარონ ბოლშევიკური წესრიგი ჩვენს საკუთარ პარტიულ სახლში".

ცენტრალური კომიტეტის დირექტივის შესასრულებლად, „პარტიული მეურნეობის" მოსაწესრიგებლად მუშაობა უკვე გაჩაღდა, მაგრამ, როგორც ჯერ საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და მერე საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნეს თავიანთ დადგენილებაში პარტიული დოკუმენტების შემოწმების მიმდინარეობის შესახებ, პარტორგანიზაციის ყველა ხელმძღვანელს როდი შეუგნია ამ დოკუმენტების შემოწმების უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა.

ამას მოწმობს „კომუნისტის" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებული საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება ლანჩხუთის, ლაგოდეხის, ყვარლის, ჯავის, ჩხოროწყუს, ლუქსემბურგის, ხარაგოულის, წალკის, ცაგერისა და ზუგდიდის რაიონებში პარტიულ დოკუმენტთა შემოწმების მიმდინარეობის შესახებ.

ამ რაიონების პარტორგანიზაციის ხელმძღვანელებმა ჯეროვნად ვერ შეაფასეს პარტიულ დოკუმენტთა შემოწმების პოლიტიკური მნიშვნელობა და საამისო მუშაობას ფორმალურად მოეკიდნენ. შეცდომების ძირითადი რაობა ისაა, რომ პარტიული დოკუმენტების შემოწმება არ მიმდინარეობდა საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივის მიხედვით.

პარტდოკუმენტებს საკმარისი გულმოდგინეობით არ ამოწმებენ, არ ადარებენ პარტბილეთების ნომრებს საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ცნობარს, სერიოზულ ყურადღებას არ აქცევენ იმას, რომ გამოარკვიონ პარტბილეთებსა და სააღრიცხო ბარათებში აღმოჩენილ წანაშლთა და განსხვავებათა ნამდვილი მიზეზები. აქტების შედგენას უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან და სხვა.

პარტიული დოკუმენტების შემოწმებასთან არასერიოზულ დამოკიდებულებას ვამჩნევთ აგრეთვე ტფილისის (ყოფილი გარეუბნის) რაიონში. იქ პარტბილეთის შემოწმების დროს ოთახში ერთად იძახებენ რამდენიმე ამხანაგს, იმავე დროს ოთახში თავისუფლად დასეირნობენ სხვებიც, რომელთაც შემოწმებასთან არავითარი კავშირი არა აქვთ. აქაც ხშირად არ ადარებენ პარტბილეთის ნომერს საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის ცნობარს, არასერიოზულად ეკიდებიან აქტების შედგენას.

პარტიული დოკუმენტების შემოწმებასთან ასეთი ფორმალური დამოკიდებულება ყოვლად შეუწყნარებელია.

უნდა შევიგნოთ, რომ პარტიული დოკუმენტების შემოწმება — ეს არ არის ჩვეულებრივი კამპანია და უბრალო ტექნიკური საქმე, არამედ იგი ეხება პარტიის განმტკიცებას, ბრძოლის უნარიანობის გაძლიერებას, მთელი შინაპარტიული მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას.

ახლა, როდესაც განსაკუთრებით საჭიროა ბოლშევიკური სიფხიზლის გაძლიერება, პარტიული მეურნეობის მოწესრიგებას უდიდესი პოლიტიკურ-ორგანიზაციული მნიშვნელობა აქვს. შემოწმების წინასწარი ცნობები ცხადჰყოფს, რომ ზოგჯერ პარტიულ დოკუმენტებს ხელში იგდებს კლასობრივი მტერი და აკეთებს თავის ბინძურ საქმეს. მაგალითად, გაგრის რაიონში გამომჟღავნებული იქნა ვინმე ზაპკინა, რომელიც თურმე თავს ასაღებდა პარტიის წევრად და აღმოაჩნდა ნაყიდი პარტბილეთი. შემოწმებამ გამოარკვია, რომ ზაპკინას ნამდვილი გვარი ყოფილა ბონდარენკო და მას პარტბილეთი უყიდნია ვინმე ზაპკინასაგან, რომელიც გამორიცხული იყო პარტიიდან. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ როგორ შეიძლია უყურადღებობის გამო პარტიული დოკუმენტი ხელში ჩაიგდოს კლასობრივმა მტერმა.

ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციას ავიწყდება, რომ „პარტიული მეურნეობის" მოწესრიგება არ ნიშნავს მარტო პარტბილეთების და სააღრიცხვო ბარათების შემოწმებას. რათქმა უნდა, პირველ რიგში (და მთავარი ყურადღება პარტიული ბილეთების, კომუნისტების აღრიცხვის და სააღრიცხვო ბარათების მოწესრიგებას უნდა მივაქციოთ. მაგრამ ამასთანავე საჭიროა სხვა პარტიული დოკუმენტების, — ოქმების, რეზოლუციების რიგიანად შენახვა, საწევრო ანარიცხების დროზე შეტანა და სხვ.

„პარტიული მეურნეობის" დარგში არსებულ ქაოსის მოუსპობლად შეუძლებელია ლაპარაკი ამა თუ იმ ორგანიზაციის ბრძოლის უნარიანობასა და საქმიანობაზე. პარტორგანიზაციის ყოველმა ხელმძღვანელმა უნდა შეიგნოს, რომ პარტიული მეურნეობის მოწესრიგებისთვის ზრუნვა მისი უპირველესი მოვალეობაა.

ამჟამად პარტიული აპარატისა და მისი ხელმძღვანელის წინაშე არ არის იმაზე უფრო პასუხსაგები შინაპარტიული სამუშაო, ვიდრე ცენტრალური კომიტეტის დირექტივების მიხედვით პარტიული დოკუმენტების შემოწმებაა. ეს ამოცანა უნდა შევასრულოთ მოფიქრებულად, სერიოზულად, მთელი პასუხისმგებლობის შეგნებით. მხოლოდ ასეთი მუშაობით ავიცილებთ თავიდან შეცდომებს.

საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან, რომელშიაც მკაცრად არის გაკრიტიკებული პარტიული დოკუმენტების შემოწმებაში ზოგიერთი რაიკომის ხელმძღვანელთა შეცდომები, საქართველოს ყველა პარტიული ორგანიზაცია ჯეროვან დასკვნას გამოიტანს და უახლოეს დროში საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივების მიხედვით წესრიგს დაამყარებს თავის საკუთარს სახლში.

ტფილისის დამკვრელი მასწავლებლები —ამხ. ლავრენტი ბერიას

ძვირფასო ლავრენტი პავლესძევ!

ჩვენ, ტფილისის სკოლების დამკვრელი მასწავლებლები, განვლილი სასწავლო წლის მუშაობის შედეგების შეჯამების დღეს, თქვენ, ამიერკავკასიისა და ორდენოსან საქართველოს ბოლშევიკების ნაცად ხელმძღვანელს, გითვლით მხურვალე ბოლშევიკურ სალამს.

თქვენი ხელმძღვანელობით მტკიცედ და სწრაფად ვითარდება ამიერ-კავკასიის ხალხთა სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგი. თქვენი ლოზუნგით — „ტფილისი უნდა გადაიქცეს საქართველოს და ამიერ-კავკასიის სანიმუშო ქალაქად" — გრანდიოზული მუშაობა მიმდინარეობს ტფილისის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის, შენდება 7 ახალი სანიმუშო სკოლის სახლი.

თქვენი მუდმივი ყურადღება განათლების საკითხებისადმი, თქვენი გულისხმიერი დამოკიდებულება კადრებთან აძლიერებს ჩვენში ენტუზიაზმს და ლენინ-სტალინის დიადი საქმისა, დიადი სოციალისტური სამშობლოსადმი ერთგულებას.

ცოტა რამ როდი გაგვიკეთებია გასულ წელს მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის გაუმჯობესებისა და მეცნიერებათა საფუძვლების სწავლების დარგში. მაგრამ მიღწეული აშკარად არასაკმარისია. ჯერ კიდევ ბევრი უნდა გაკეთდეს, რომ ტფილისის ყველა სკოლა სანიმუშო გახდეს.

სიტყვას გაძლევთ თქვენ, ძვირფასო ლავრენტი პავლესძევ, რომ განვამტკიცებთ მიღწევებს და კიდევ უფრო მეტი ენერგიით ვიბრძოლებთ მოსწავლეთა მტკიცე კომუნისტური აღზრდისათვის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე და გადაჭრით ვიბრძოლებთ კლასობრივი მტრის ცდების წინააღმდეგ — შთააუნერგოს ბავშვებს ანტიპროლეტარული იდეოლოგია.

ვკისრულობთ ვალდებულებას დავეუფლოთ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას და მოსწავლეთა აღზრდის სოციალისტურ მეთოდებს, მივაღწიოთ მოსწავლეთა ცოდნის მაღალ ხარისხს, აღმოვფხვრათ ჩვენს წრეში ბავშვისადმი უსულგულო დამოკიდებულების ელემენტები და ტფილისის სკოლები გადავაქციოთ ორდენოსან საქართველოს და ამიერკავკასიის დედაქალაქის ღირსეულ სკოლებად.

სიტყვას ვიძლევით, რომ გავამართლებთ პარტიისა და მთავრობის ნდობას და თავს გავართმევთ ჩვენზე დაკისრებულ ამოცანებს. ამის საწინდარია თქვენი შეუსუსტებელი ყურადღება სახალხო განათლების საქმისადმი, თქვენი ნაცადი ბოლშევიკური ხელმძღვანელობა.

გაუმარჯოს საუკეთესო სტალინელს ამიერ-კავკასიაში, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების მებრძოლ ხელმძღვანელს ამხანაგ ლავრენტი ბერიას!

ქ. ტფილისის დამკვრელ მასწავლებელთა დავალებით: **ს. ა. კრიუჩკოვა. ე. ჩუბინიძე. ოვაკიმიანი. ლონაძე. ნ. მაილიანი. პაიკინი. სტურუა. მელიქიანი და კალანდარაშვილი.**

იაპონიის პოზიციის კრიტიკა გაზეთ „ჯაპან ქრონიკლში"

ტოკიო, 1 ივლისი. გაზეთი „ჯაპან ქრონიკლი" მოწინავე სტატიაში აღნიშნავს: „საბჭოთა კავშირი, უეჭველია, სიხარულით მიიღებს წინადადებას საზღვრის საკითხზე კომისიის დანიშვნის შესახებო". გაზეთი შემდეგ სწერს:

„საზღვრის საკითხის მთელი ირონია იმაში მდგომარეობს, რომ დავა პრაქტიკულად უმნიშვნელო ტერიტორიის გარშემო ტრიალებსო". კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად, გაზეთის აზრით, ყველაზე უკეთესი იქნებოდა „საბჭოთა კავშირ-მანჯურიის საზღვარზე ვიწრო დემილიტარიზებული ზონის" შექმნა. მაგრამ,—განაგრძობს „ჯაპან ქრონიკლი", — საბჭოთა კავშირ - მანჯურიის საზღვარზე დემილიტარიზებული ზონის იაპონური გაგება ცოტა თავისებურია ამ შემთხვევაშიც „საგარეო საქმეთა სამინისტრო ტანგუს შეთანხმების პუნქტებით აზროვნებს. მას იმედი აქვს, თითქოს მანჯურიის საზღვრებზე შესაძლებელი იყოს შეიქმნას ისეთივე ზონა, როგორიც მანჯოუგოსა და ჩინეთს შუა არსებობსო".

„ამაზე მეტ უტაქტობას, — სწერს გაზეთი, — საერთოდ ძნელად თუ შეხვდებით". წარსულში ხომ იყო პრეცენდენტი, როცა ლიტვინოვმა მოავონა ჩემბერლენს — „საბჭოთა კავშირი მექსიკა როდია ან ცენტრალური ამერიკის რომელიმე სხვა რესპუბლიკაო". გარდა ამისა, „შეიძლება ტოკიოს ისიც გავახსენოთ, რომ საბჭოთა კავშირი არც ჩინეთია". ამიტომ იაპონია უნდა შეუდგეს მოლაპარაკებას. „მან ნათლად უნდა გაითვალისწინოს, რომ საბჭოთა კავშირს შესწევს უნარი ჩინებულად განავოს თავისი ქვეყანა და იგი არ წავა რაიმე ისეთ შეთანხმებაზე, რომელიც მას უთანასწორო მდგომარეობაში ჩააყენებს".

„სავსებით გამართლებული იქნება, — სწერს შემდეგ გაზეთი, — თუ საბჭოთა კავშირი, როცა იგი დათანხმდება გაიყვანოს შორეულ აღმოსავლეთიდან თავისი სამხედრო ძალების ნახევარი, — მოითხოვს საბჭოთა საზღვრების უშიშროების გარანტიას „მანჯოუგოდან იაპონიის მთელი ჯარის გაყვანის" სახით. „ეს წინადადება, — აცხადებს „ჯაპან ქრონიკლი", — შეაძრწუნებდა იაპონიის არა მარტო სამხედრო წრეებს, არამედ საგარეო საქმეთა სამინისტროსაც". მაგრამ „ეს წინადადება ბევრად უფრო გონიერი იქნება, ვიდრე საბჭოთა ტერიტორიიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის მოთხოვნა". ეს განსაკუთრებით მართალია, რადგან „ტოკიოს უნდა ახსოვდეს, რომ მანჯურიის ინციდენტის წარმოშობამდე საბჭოთა ჯარების არავითარი კონცენტრაცია არ ყოფილა".

მანჯურიის ამბებამდე რამდენიმე წლით ადრე, — განაგრძობს გაზეთი, — საბჭოთა კავშირმა აუცილებლად მიიჩნია გაეგზავნა ჯარები აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის ხაზის გასწვრივ. „პროვოკაცია მაშინ ბევრად უფრო მეტი იყო, ვიდრე 1931 წელს. მაგრამ როგორც კი აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის საქმიანობაში ჩაურევლობის გარანტია მიიღო, საბჭოთა კავშირმა თავისი ჯარები საბჭოთა ტერიტორიაზე დააბრუნა". 1929 წლის საბჭოთა ექსპედიციამ, — ხაზს უსვამს „ჯაპან ქრონიკლი",— ცხადჰყო, რომ „სავსებით შეიძლება ვენდოთ საბჭოთა მტკიცებას: საბჭოთა კავშირს სხვისი მიწა არ უნდა, ისევე, როგორც მას არ სურს ჩაერიოს თავის მეზობელთა საქმეებში". „საბჭოთა კავშირს რომ ასეთი განზრახვა ჰქონოდა, მისთვის სულ ადვილი საქმე იყო მანჯურიის ინციდენტის დროს ჩრდილოეთ - მანჯურია დაეჭირა და ამით საზღვრის ხაზი გაესწორებინა".

მაგრამ საბჭოთა კავშირი ასე არ მოქცეულა. მან თავისი ჯარების კონცენტრაცია შორეულ აღმოსავლეთში — მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, როცა სავსებით ცხადი გახდა, რომ იაპონია მანჯურიიდან თავის ჯარების გაყვანას არ აპირებდა.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს: საბჭოთა სიმაგრეები შორეულ აღმოსავლეთში მუდმივი ხასიათისაა და საბჭოთა ჯარების წაყვანა დასავლეთისაკენ შეუძლებელია, ვინაიდან ეს გაამწვავებს საბჭოთა კავშირის ურთიერთობას გერმანიასა და პოლონეთთან. შესაძლოა, — აცხადებს გაზეთი, — საბჭოთა კავშირს ამ მიმართულებით მაინც გადაედგა ნაბიჯი, თუ იაპონიასთან თავდაუსხმელობის პაქტს დასდებდა. მაგრამ იაპონია „აბსოლუტურად გაუგებარი მიზეზების გამო" ამ პაქტის წინააღმდეგია.

იაპონური პრესა, — აღნიშნავს ბოლოს გაზეთი, — ლაპარაკობს „იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტაგნაციის დასასრულზე და საბჭოთა კავშირის მიმართ მეგობრული პოლიტიკის დასაწყისზე". მაგრამ „შეიძლება თუ არა საბჭოთა კავშირი დარწმუნებული იყოს, რომ იაპონიის პოლიტიკა სავსებით მეგობრული ხასიათისაა? როგორადაც სასურველი უნდა იყოს ეს, არა გვგონია ასე სწრაფად აღმოიფხვრას ის სავსებით გასაგები ეჭვი, რომელიც საბჭოთა კავშირს უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში აღეძრა". ამ საკითხთა გადაჭრა უაღრესად მნიშვნელოვანია ორივე ქვეყნისათვის. მაგრამ იგი უფრო აუცილებელია იაპონიისათვის, მისი ფინანსური მდგომარეობის გამო. თუ ტოკიო დააყოვნებს, ბოლოსდაბოლოს საგარეო საქმეთა სამინისტრო შეიგნებს ამ პრობლემის მთელ მნიშვნელობას.

„საბჭოთა კავშირი ისეთს არაფერს სჩადის, რასაც ეჭვის გამოწვევა მოსდევდეს. აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის გაყიდვა ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირს სურს მოახდინოს ყველა თავისი საქმის ლიკვიდაცია მანჯურიაში". ამიტომ, — დაასკვნის გაზეთი, — იაპონიას დიდად ესაჭიროება „მეორე მხარის თვალსაზრისის გაგების უნარი". საბჭოთა კავშირი კი ჯერჯერობით ამჯობინებს იყოლიოს თავისი ჯარები შორეულ აღმოსავლეთში, „თუგინდ ამას გაუგებრობა მოჰყვეს" (ადს)

□ □ □ □ □

ბეკის ჩასვლა ბერლინში

ბერლინი ემზადება ბეკის შესახვედრად

ბერლინი, 2 ივლისი. ბერლინის გაზეთები აქვეყნებენ ცნობას, რომ ბერლინში მოელიან ბეკის ჩამოსვლას. გაზეთების ცნობებით, ბეკს ბერლინში უმზადებენ დემონსტრატიულ - საზეიმო შეხვედრას. ბეკს მიიღებს აგრეთვე ჰიტლერი, რომელთანაც იგი განიხილავს „თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს". (ადს).

ბეკი ჩავიდა ბერლინში

ბერლინი, 3 ივლისი. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბეკი დღეს დილით ბერლინში ჩამოვიდა. ვაგზალზე ბეკს საზეიმო შეხვედრა გაუმართეს (ადს).

უცხოეთის პრესა ბეკის დარბაზობის მიზნების შესახებ

ვარშავა, 2 ივლისი. ვარშავის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ბეკმა ახლა გადასწყვიტა გამოეყენებინა უკვე 6 თვის წინათ მიღებული მიწვევა ბერლინში, რადგან დაგროვდა მრავალი საკითხი, რომელთა განხილვაც ბერლინში პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სურს. ეს საკითხები ეხება პოლონეთ - დანციგის და პოლონეთ - გერმანიის სავაჭრო ურთიერთობას, აგრეთვე ორივე სახელმწიფოს პოზიციას აღმოსავლეთის პაქტის მიმართ.

როგორც გადმოგვცემენ, აღმოსავლეთის პაქტის საკითხის გარდა, ბერლინში განიხილავენ პოლონეთ-გერმანიის პაქტის განგრძობის საკითხსაც.

პარიზი, 2 ივლისი. „ენტრანსიჟანი", ეხება რა ბეკის დარბაზობის მიზნებს, აღნიშნავს: ამ დარბაზობამ ერთხელ კიდევ ხაზი უნდა გაუსვას პოლონეთ - გერმანიის მეგობრობას და ცხადჰყოს, რომ გერმანიას და პოლონეთს საბჭოთა კავშირ - საფრანგეთის ხელშეკრულებაზე და აღმოსავლეთის პაქტზე საერთო შეხედულება აქვთ.

ბერლინი, 2 ივლისი. საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ახლომდგომი „დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგი" ხაზს უსვამს: „ბეკი ბერლინში ისე ჩამოდის, რომ მას მტკიცედ დასახული პროგრამა არა აქვსო". გაზეთი აღნიშნავს, ბეკის ჩამოსვლა მხოლოდ პასუხია გერმანიის მინისტრების ოფიციალური დარბაზობისა ვარშავაში. გაზეთი განაგრძობს; იგულისხმება, რომ დარბაზობა საშუალებას მოგვცემს განვიხილოთ დიდი პოლიტიკის მიმდინარე საკითხები. ამასთან განიხილავენ არა მარტო ლონდონის 3 თებერვლის კომუნიკეს პუნქტებს, თუმცა ზოგიერთ მათგანს უეჭველად შეეხებიან. გერმანიას და პოლონეთს სურთ უფრო გააფართოონ და განამტკიცონ თავისი კეთილმეზობლური ურთიერთობა (ადს).

საბჭოთა კავშირში

კომკავშირელ ქალთა საკავშირო თათბირი

მოსკოვი, 2 ივლისი. 1 ივლისს გაიხსნა ახალგაზრდა კომკავშირელ ქალთა სრულიად-საკავშირო თათბირი.

პრეზიდიუმში აირჩიეს: ნადეჟდა კონსტანტინეს ასული **კრუპსკაია,** საკ. ა.ლ.კ.კ. ც.კ.-ის მდივანი ამხ. **კოსარევი, სალტანოვი, ვერშკოვი, გორშენინი, ფაინბერგი, ვასილიევა.**

ახალგაზრდა ქალთა შორის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საკ. ალკკ ც.კ.-ის მდივანი ამხ. **ვასილიევა**

თათბირს დაესწრო საკ. კ.პ. (ბ) ც.კ.-ის მდივანი ამხ. **ანდრეევი,** რომლის გამოჩენას ხანგრძლივი ტაშით შეეგებნენ.

თათბირი მუშაობას განაგრძობდა დღესაც.

მოსკოვი, 2 ივლისი. 2 ივლისს ქალთა შორის მუშაობის შესახებ მოწვეულ სრულიად საკავშირო თათბირზე იხილავდნენ საკ. ალკკ ც.კ.-ის მდივნის ამხ. **ვასილიევას** მოხსენებას ახალგაზრდა ქალთა შორის მუშაობის გაძლიერების ღონისძიებებზე და ამხ. **სარიევას** მოხსენებას ამ მუშაობის მდგომარეობაზე თურქმენისტანში.

ეს მოხსენებანი და მათ გარშემო გაცხოველებული კამათი გვიჩვენებს, რომ საკ. ალკკ ორგანიზაციების უმეტესობა ჯეროვნად ვერ აფასებდა აღმზრდელობითს მუშაობას ახალგაზრდა ქალთა შორის. ამხ. ვასილიევამ ეს ნათელჰყო მჭევრმეტყველი ციფრებით. საკ. ალკკ გორკის და კიროვის მხარეების, კურსკისა და ვორონეჟის ოლქების ორგანიზაციათა წევრებს შორის კომკავშირელი ქალები 50 პროცენტზე ნაკლებია, ხოლო ტაჯიკისტანის და თურქმენისტანის რესპუბლიკებში ისინი 10 პროცენტს შეადგენენ.

კომკავშირელი ქალები ნაკლებად არიან ჩაბმული ორგანიზაციის ხელმძღვანელ მუშაობაში. სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციათა 59 ათასი კომორგიდან ქალები მხოლოდ 1 პროცენტს შეადგენენ, უკრაინაში საკ. ალკკ-ის რაიონულ კომიტეტთა 500 მდივნიდან ქალი მხოლოდ 9 არის.

მასობრივ მუშაობასაც უხეიროდ ეწევიან ახალგაზრდა ქალთა შორის. ხუთი თვის მანძილზე მოსკოვის სტალინის სახელობის ავტოქარხანაში კომკავშირელ ქალთა კრება ერთხელაც არ გამართულა, ხოლო „ტრიოხგორნაია მანუფაქტურაში", სადაც საკ. ალკკ-ის წევრთა შორის უდიდეს უმრავლესობას ქალები შეადგენენ, ამ კრებებს ძალიან იშვიათად იწვევენ.

ამხ. სარიევამ (თურქმენისტანი) გვიამბო, თუ როგორ ებრძვის რესპუბლიკის კომკავშირი წარსულის ნაშთებს — მცირეწლოვანი ქალიშვილების გათხოვებას, მრავალცოლიანობას და სხვა. თურქმენისტანში იზრდება ქალთა კადრი — სახამართლო ორგანოების, კოოპერატიული ორგანიზაციების, პედაგოგიური დაწესებულებების და სხვ. მუშაკები. სოფლად 4 ათას ბავშვს მომსახურებას უწევენ საბავშვო ბაღები.

თათბირის მონაწილენი ერთსულოვნად იწონებენ საკ. ალკკ ც.კ.-ის მე-9 პლენუმის მიერ ამხანაგ **სტალინის** წინადადებით მიღებულ გადაწყვეტილებას ახალგაზრდა ქალთა შორის მუშაობის სექტორების დაარსების შესახებ.

კამათში დიდი ყურადღება ექცევა ახალგაზრდა ქალთა საყოფაცხოვრებო მდგომარეობის საკითხებს. ამხ. **კუზმინა** (ტულა), **ჩუგუნკო** (დონეცის ოლქი) **შარიანი** (სომხეთი) და სხვანი აღნიშნავენ: კომკავშირელ დედებს ზოგჯერ უსულგულოდ ეპყრობიან და ამას ხშირად კომკავშირის საზოგადოებრივი მუშაობისაგან მათი მოწყვეტა მოსდევსო.

თათბირმა დიდი ინტერესით მოისმინა ორდენოსანი ქალის, პარაშუტისტ ამხ. **იაკოვლევას** წარმტაცი ნაამბობი სარეკორდო ჩამოხტომის შესახებ. ამხ. იაკოვლევამ მოუწოდა ქალიშვილებს — დაეუფლეთ საპარაშუტო სპორტსაო.

თათბირის მონაწილენი გულთბილად მიესალმნენ პარაშუტისტს ამხ. **მალინოვსკაიას** (ადს).

ექვსმა პარაშუტისტმა ქალმა ნ. ბაბუშკინამ, მ. ბარცევამ, ს. ბლოხინამ, მ. მალინოვსკაიამ, ო. იაკოვლევამ და გურალმა ელად საპარაშუტო საქმის ისტორიაში შეასრულეს თვითმფრინავიდან წყალში რთული ექსპერიმენტალური გადმოხტომა. პარაშუტისტი ქალები გადმოხტნენ 600 მეტრის სიმაღლიდან სენეჟსკის ტბაზე (სოფ. ოსიპოვო, მოსკოვიდან 70 კილომეტრის დაშორებით). სურათზე: პარაშუტისტ მუზა მალინოვსკაიას დაშვება წყალზე.

□ □ □ □ □ □ □ □

ვერეშჩაგინის ვიადუკი

მოსკოვი, 2 ივლისი. გუშინ, 19 საათსა და 30 წუთზე, მოხდა სოჭა-მაცესტის მაგისტრალის უდიდესი ნაგებობის — ვერეშჩაგინის ვიადუკის საზეიმო გახსნა. ვერეშჩაგინის ვიადუკი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უმძლავრესი რკინა-ბეტონის ხიდია. ხიდის სიმაღლე ნაპრალზე 25 მეტრს აღწევს, სიგრძე — 213 მეტრს (ადს).

1,2 გრამიანი რადიო-მიმღები

მოსკოვი, 2 ივლისი. ქალაქ ვინიცაში (უკრაინის სსრ) 17 წლის გამომგონებელმა გრიშა გრინბერგმა დაამზადა სადეტექტორო მინიატიურული რადიო - მიმღები, რომელიც განირჩევა კარგი სმენადობით. იგი შესდგება 15 ნაწილისაგან და იწონის 1,2 გრამს. რადიომიმღების დიამეტრი 8 მილიმეტრია, სიმაღლე — 6 სანტიმეტრი (ადს).

კარელიის რესპუბლიკის 15 წლისთავისათვის

კარელიის ასს რესპუბლიკის ცაკს

საბჭოთა კარელიის 15 წლისთავზე საქართველოს სახკომსაბჭო საქართველოს მშრომელთა სახელით მხურვალე სალამს უთვლის კარელიის მუშებს, კოლმეურნეებს და მთელ მშრომელ ხალხს და უსურვებს მათ შემდგომ გამარჯვებებს სოციალისტური და კულტურული მშენებლობის ფრონტებზე.

საქართველოს სახკომსაბჭო —
მგალობლიშვილი.

□ □ □

საბჭოთა კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილება

ფულის ნებაყოფლობით შეგროვების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. აეკრძალოთ საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ფულის ყოველგვარი ნებაყოფლობითი შეგროვება რაიმე მიზნისათვის, აგრეთვე ფულის შეგროვება ნიშნების, ლია ბარათების და სხვ. საგნების გავრცელების გზით. ამ წესიდან გამონაკლისის სახით ფულის ნებაყოფლობით შეგროვება შეიძლება მხოლოდ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით, რომელსაც იგი გასცემს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ფულის შეგროვების ფორმის, ვადის და ოდენობის აღნიშვნით, აგრეთვე იმ ტერიტორიის აღნიშვნით, რომელზედაც ფულის შეგროვება მოხდება.

2. ამ დადგენილების 1 მუხლში აღნიშნული წესით ნებადართული ნებაყოფლობითი შეგროვება შეიძლება მოხდეს მხოლოდ სათანადო დაწესებულების, საზოგადოების ან ორგანიზაციის ძალებით და მათი ძირეული ორგანიზაციების დახმარებით. აკრძალულია სპეციალური ფასიანი აგენტების მიწვევა ფულის შესაგროვებლად.

3. ფულის ნებაყოფლობითი შეგროვებისათვის, თუ ამით დარღვეული იქნება ეს დადგენილება, იმ პირებთან ერთად, რომლებიც უშუალოდ აწარმოებენ ფულის შეგროვებას, პასუხს აგებენ სათანადო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ხოლო ნებაყოფლობით საზოგადოებათა ხაზით — სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეებიც.

4. აეკრძალოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს და სახელმწიფო შრომის შემნახველ სალაროებს მიმდინარე ანგარიშების გახსნა ნებაყოფლობით შეგროვილი ფულის მისაღებად, თუ ანგარიშის გამხსნელ ორგანიზაციას არა აქვს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს ნებართვა ფულის შეგროვების შესახებ.

5. ეს დადგენილება არ ვრცელდება ფულის შეგროვებაზე, რომელსაც ატარებენ ორგანიზაციები თავიანთ წევრებს შორის სათანადო ორგანიზაციების ამ წესდებათა და დებულებათა საფუძველზე, რომლებიც გამოცემულია კანონის მიხედვით დადგენილი წესით.

6. გაუქმდეს სსრ კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს 5 სექტემბრის 1924 წლის დადგენილება „ფულის და შემოწირულებათა ნებაყოფლობითი შეგროვების წესის შესახებ" (სსრ კავშირის კან. კრ. 1924 წ., № 8, გვ. 81 და 1929 წ. № 61, გვ. 560) და 1925 წლის 7 აგვისტოს დადგენილება „ფულის და შემოწირულებათა ნებაყოფლობით შეგროვების შესახებ" (სსრ კავშირის კან. კრ. 1925 წ. № 52, გვ. 388, 1928 წ. № 38, გვ. 347; 1925 წ. № 31, გვ. 282, მ. 4; 1930 წ. № 44, გვ. 451, მუხ. 24—25) და პუნქ. „ა", მუხ. 6 დებულებისა სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმთან უპატრონო ბავშვთა დასახმარებლად არსებული ვ. ი. ლენინის სახელობის ფონდების მომწესრიგებელი და განმკარგულებელი ცენტრალური კომისიის შესახებ.

7. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებს შეიტანონ მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

8. დაევალოს ყველა ცენტრალურ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუფარდონ ამ დადგენილებას მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების წესდებანი და დებულებანი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. კალინინი.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. მოლოტოვი.**

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. აკულოვი.**

△ △ △

სსრ კავშირის ცაკის დადგენილება

ჩუვაშეთის ასსრ-ის საქ. კ.პ.(ბ) ჩუვაშეთის ოლქკომის მდივნის ამხ. ს. პ. პეტროვისა და ჩუვაშეთის ასსრ-ის ცაკის თავმჯდომარის ამხ. ა. ნ. ნიკიტინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი **ადგენს:**

მთელი რიგი წლების მანძილზე ძირითადი სასოფლო - სამეურნეო სამუშაოების შესრულების, კულტურული მშენებლობის ნაციონალური კადრების გამოზრდის საქმეში და სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა შესრულების დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის — დაჯილდოებულ იქნან ლენინის ორდენით ჩუვაშეთის ასსრ რესპუბლიკა და მისი ხელმძღვანელები: საკ. კ.პ.(ბ) ჩუვაშეთის ოლქკომის პირველი მდივანი ამხ. ს. პ. პეტროვი და ჩუვაშეთის ასსრ-ის ცაკის თავმჯდომარე ამხ. ა. მ. ნიკიტინი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე — **მ. კალინინი.**

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი — **ი. აკულოვი.**

მოსკოვი, კრემლი 1935 წ. 27 ივნისი.

□ □ □

რომენ როლანი სტუმრად მ. გორკისთან

მოსკოვი, 2 ივლისი. ა. მ. გორკის მიწვევით **რომენ როლანი** მ. პ. **როლანთან** ერთად 30 ივნისს, ფიზკულტურელთა პარადის შემდეგ, გაემგზავრა ა. მ. გორკის აგარაკზე. რომენ როლანი რამდენიმე დღეს დარჩება სტუმრად ა. მ. გორკისთან (ადს).

□ □ □

ჩაის კრეფა

I ივლისისათვის

(საქმიწსახკომის ცნობებით)

რაიონები	მოკრეფილია ივნისის დამლევამდე (კილოგრ.)	მაისის და ივნისის გეგმის შეს. პროცენტებში
ბათომის	152.463	94,7
ქობულეთის	691.109	94,6
გალის	271.543	100,2
ოჩამჩირის	80.387	104,3
მახარაძის	1.080.454	80,8
ჩოხატაურის	123.784	73,8
ლანჩხუთის	509.035	79,3
სამტრედიის	9.074	95,5
ხონის	8.854	170,2
ტყიბულის	14.738	101
სენაკის	91.728	60,2
მარტვილის	98.645	76.2
ზუგდიდის	395.219	88
წალენჯიხის	115.015	91,7
ჩხოროწყუს	59.000	97,1
ხობის	22.359	78,7
აჭარისტანის საბჭოთა მეურ. ტრესტი	60.730	109,2
სულ	3.784.137	85,7

●

როგორც ამ ცნობებიდან ჩანს, ივნისის მეექვსე ხუთდღიურში ჩაის ფოთლის კრეფის ტემპები საგრძნობლად გაიზარდა: ივნისის მეხუთე ხუთდღიურმა მოგვცა 344.494 კილოგრამი ფოთოლი, მეექვსე ხუთდღიურმა კი —516.000.

თითქმის ყველა რაიონმა, **ჩოხატაურის** გამოკლებით, ივნისის უკანასკნელ ხუთდღიურში, წინა ხუთდღიურებთან შედარებით, გაცილებით მეტი მოკრიფა.

მიუხედავად ამისა მაის-ივნისის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 85,7 პროცენტით.

ამჟამად ყველა საშუალება არსებობს ჩაის ფოთლის კრეფის დამკვრელური ტემპებით გასაჩაღებლად. ჩაის რაიონებში უკანასკნელად მოსულმა წვიმებმა გამოიწვია ჩაის ნორმალური დუყების მასობრივი ზრდა.

ჩაის საგამოკვლევო - სამეცნიერო ინსტიტუტის დირექცია მახარაძიდან იტყობინება, რომ 1 ივლისს მოსული წვიმის შედეგად ნალექი საკმაოა და ფოთლის გახარებაც კარგიაო.

ახლა მთავარი ამოცანა ის არის, რომ ჩაის რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა დარაზმონ მთელი ძალები ფოთლის კრეფის უკეთესი ორგანიზაციისათვის. მათ განუწყვეტელი კრეფის გატარებით უნდა უზრუნველჰყონ **ივლისის გეგმის მთლიანად შესრულება და შეავსონ დანაკლისიც.**

ივლისი — ჩაის ფოთლის კრეფის ყველაზე უფრო პასუხსაგები პერიოდია. ამ თვეში, მაისის-ივნისის დანაკლისის ჩათვლით, უნდა მოიკრიფოს სულ 8.309.800 კილოგრამი ფოთოლი.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ **ივლისი წყვეტს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულების ბედს.**

□ □ □

მოსავლის აღება საქართველოში

საქ. მიწსახკომის ცნობით, 1-ლ ივლისისათვის საქართველოში მოსავალი (თავთავიანი კულტურები) აღებული იყო **17.622** ჰექტარზე. აქედან **საბჭოთა მეურნეობებს** აღებული აქვთ 4.754 ჰექტ., კოლმეურნეობებს — 10.278 ჰექტ. და ერთპიროვნულ მეურნეობებს — 2.590 ჰექტ.

აღნიშნულ დროისათვის მიწსახკომს მოსავლის აღებაზე ცნობები მიღებული ჰქონდა შემდეგი რაიონებიდან: **გურჯაანის** (აღებულია 408 ჰექტ.), **სიღნაღის** (3996 ჰექტ.), **ლაგოდეხის** 3578 ჰექტ.), **ტფილისის** (244 ჰექტ.), **ყარაიას** (1970 ჰექტ.), **ბორჩალოს** (2171 ჰექტ.), **ლუქსემბურგის** (484 ჰექტ.) და **საგარეჯოს** (17 ჰექტ.)

1 ივლისისათვის **ალაზნის** მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობას მოსავლის აღების გეგმა შესრულებული ჰქონდა 74,5 პროცენტით.

საქართველოს
მთავარი
ბიბლიოთეკა

ს.ს.რ. კ-ის მიწსახკომსა და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის სას.-სამ. განყოფილებაში

ს. ს. რ. კავშირის მიწსახკომისა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების დადგენილება სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების დარღვევათა შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო - სამეურნეო განყოფილებამ შეამოწმეს სასოფლო - სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების ცხოვრებაში გასატარებელი მუშაობა აზოვ - შავიზღვის მხარეში და სხვა მხარეებისა და ოლქების მთელ რიგ რაიონებში. ამ შემოწმების დროს აღმოჩნდა სასოფლო - სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების დარღვევისა და რაიაღმასკომებში წესდებათა რეგისტრაციის წესის დარღვევის ფაქტები.

ამასთანავე სსრ კავშირის მიწსახკომმა და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო - სამეურნეო განყოფილებამ განიხილეს პროექტი ტაჯიკისტანის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსი და ტაჯიკისტანის კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის დადგენილებისა „კოლმეურნეობათა მიერ სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდებათა შემუშავების, განხილვისა და მიღების ღონისძიებათა შესახებ“.

სსრ კავშირის მიწსახკომში და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო - სამეურნეო განყოფილებაში სავსებით დამთავრდა ნაციონალურ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებისა და ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, სამხარეო აღმასკომებისა და საქ. კ.პ. (ბ) სამხარეო კომიტეტების, საოლქო აღმასკომებისა და საქ. კ.პ. (ბ) საოლქო კომიტეტების დადგენილებათა პროექტების განხილვა.

ქვემოთ ქვეყნდება:

სსრ კავშირის მიწსახკომის და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო - სამეურნეო განყოფილების დადგენილებანი სასოფლო - სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების დარღვევათა შესახებ; სასოფლო - სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების ცხოვრებაში გატარების შესახებ აზოვ - შავიზღვის მხარეში; მოსკოვის ოლქის კრასნი პახარის რაიონისა და სარატოვის მხარის ატკარსკის რაიონის რაიაღმასკომების მიერ და საქ. კ.პ. (ბ) რაიკომების მიერ უკანონო დადგენილებათა მიღების შესახებ, — ივანოვოს სამრეწველო ოლქის სუდისლავსკის რაიაღმასკომის მიერ წესდებათა რეგისტრაციის წესის დარღვევის შესახებ; დასავლეთის ოლქის ბელსკის რაიონში კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მასობრივად მოხსნის შესახებ; კიევის ოლქის ბაბინსკის რაიონის კოლმეურნეობა „პლუგატარის“ გამგეობის მიერ ერთპიროვნული მეურნის კაზნოდის კოლმეურნეობაში მიღების დროს სასოფლო - სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების დარღვევის შესახებ; სარატოვის მხარის მაკაროვსკის რაიაღმასკომის მიერ კომბაინთა ქარხნის სახელობის სასოფლო - სამეურნეო არტელის იმ წესდების რეგისტრაციის შესახებ, რომელშიც დაშვებულია სასოფლო - სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების დამახინჯებანი.

I

აზოვ-შავიზღვის მხარეში სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების განხორციელების შესახებ

აღინიშნოს, რომ საქ. კ.პ.(ბ) აზოვ-შავიზღვის სამხარეო კომიტეტის სასოფლო - სამეურნეო განყოფილებამ და სამხარეო სამიწათმოქმედო სამმართველომ ვერ მოაწყეს კოლმეურნეობათა მიერ მიღებულ წესდებათა და იმ მუშაობის ყოველდღიური შემოწმება, რომელსაც საქ. კ.პ.(ბ) რაიკომები და რაიაღმასკომები ეწევიან წესდებათა მიღების საქმეში კოლმეურნეობათათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

ამის შედეგად აზოვ-შავიზღვის მხარეში რაიაღმასკომებმა რეგისტრაციაში გაატარეს 100-მდე არასწორი წესდება, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სანიმუშო წესდებას და აზოვ-შავიზღვის სამხარეო აღმასკომის და საქ. კ.პ.(ბ) სამხარეო კომიტეტის 22 აპრილის გადაწყვეტილებას, განსაკუთრებით სალის, ბელოგლინსკის და სტარო - მინსკის რაიონებში. ამ კოლმეურნეობათა წესდებებში მეტწილად დაწესებულია საკარმიდამო მიწის მარტო უმცირესი რაოდენობა, ნაცვლად 0,7-დან 1 ჰექტარამდე, რაც ამ რაიონების კოლმეურნეობებისათვის დამტკიცებულია სამხარეო აღმასკომისა და საქ. კ.პ.(ბ) სამხარეო კომიტეტის 22 აპრილის გადაწყვეტილებით და მოწონებულია სსრ კავშირის მიწსახკომისა და საქ.კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო - სამეურნეო განყოფილების მიერ.

სსრ კავშირის მიწსახკომი და საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო - სამეურნეო განყოფილება ადგენენ:

1. დაევალოს აზოვ-შავიზღვის სამხარეო სამიწადმოქმედო სამმართველოს და საქ. კ.პ.(ბ) სამხარეო კომიტეტის სასოფლო - სამეურნეო განყოფილებას გააუქმონ არასწორ წესდებათა რეგისტრაცია და მომავალში უზრუნველჰყონ სასოფლო - სამეურნეო არტელის თვითეული წესდების განხილვა კოლმეურნეობის მიერ მისი მიღების და რაიაღმასკომში რეგისტრირების მიხედვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შეცდომების გამოსწორება.

2. გაგრძელდეს აზოვ-შავიზღვის მხარეს წესდებათა რეგისტრაციის, აგრეთვე კოლმეურნეობათა პირველი ჯგუფისათვის (2.500) სახელმწიფო აქტების მიცემის ვადა 1935 წლის 1 ოქტომბრამდე.

3. მოწონებულ იქნას საქ. კ.პ.(ბ) აზოვ-შავიზღვის სამხარეო კომიტეტის სასოფლო - სამეურნეო განყოფილების წინადადება, რომლის მიხედვითაც თვითეულ საკოლმეურნეო კომლს უნდა მიეცეს თავისი სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდება, სტამბაში დაბეჭდილი.

II

მოსკოვის ოლქის კრასნი-პახარის რაიაღმასკომისა და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომის 22 მაისის დადგენილებაზე „კოლმეურნეობათა მიერ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებათა შემუშავების, განხილვისა და მიღების ღონისძიებათა შესახებ“

აღინიშნოს, რომ კრასნი — პახარის რაიაღმასკომმა (თავმჯდომარე ამხ. ლუნევი) და საქ. კ.პ.(ბ) რაიკომმა (რაიკომის მდივანი ამხ. ივანოვი) იმის ნაცვლად, რომ საქმიანად ემუშავნათ, დახმარება და ხელმძღვანელობა გაეწიათ კოლმეურნეობებისათვის წესდებათა განხილვის, მიღებისა და მათი განხორციელების საქმეში, გამოაქვეყნეს რაიონულ გაზეთში თავისი განსაკუთრებული დადგენილება „კრასნი - პახარის რაიონში კოლმეურნეობათა მიერ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებათა შემუშავების, განხილვისა და მიღების ღონისძიებათა შესახებ“. ეს დადგენილება უკანონოა, რამდენადაც რაიონს არა აქვს უფლება გამოსცეს თავისი განსაკუთრებული კანონები წესდების საკითხებზე, ხოლო ყველა საჭირო მითითება წესდებათა გატარების წესის შესახებ მოცემულია მოსკოვის საოლქო აღმასკომის და საქ. კ.პ.(ბ) მოსკოვის კომიტეტის 4 მაისის დადგენილებაში, რომელიც მოწონებულია მიწსახკომისა და საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო - სამეურნეო განყოფილების მიერ.

ამასთან რაიაღმასკომმა და საქ. კ.პ.(ბ) რაიკომმა თავის უკანონო დადგენილებაში უხეშად დაარღვიეს მოსკოვის საოლქო აღმასკომისა და საქ. კ.პ.(ბ) მოსკოვის კომიტეტის მითითებანი საკოლმეურნეო კომლებისათვის საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობის შესახებ იმით, რომ თავიანთი რაიონის ფარგლებში ცალკეული კოლმეურნეობებისათვის დააწესეს საკარმიდამო ნაკვეთების სხვადასხვა ოდენობა.

ამასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის მიწსახკომი და საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო - სამეურნეო განყოფილება ადგენენ:

1. გაუქმდეს კრასნი - პახარის რაიაღმასკომისა და საქ. კ.პ.(ბ) რაიკომის 22 მაისის დადგენილება.

2. განემარტოთ, რომ რაიაღმასკომებსა და საქ. კ.პ.(ბ) რაიკომებს **არა აქვთ უფლება გამოიტანონ თავისი განსაკუთრებული დადგენილებანი** „კოლმეურნეობათა მიერ სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდებათა შემუშავების, განხილვის და მიღების ღონისძიებათა შესახებ“, არამედ ვალდებული არიან ოპერატიული მუშაობის წესით უზრუნველჰყონ ის, რომ რაიონის ყოველმა სასოფლო - სამეურნეო არტელმა მიიღოს წესდება სანიმუშო წესდებასთან და სამხარეო, საოლქო ან რესპუბლიკური პარტიული და საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილებებთან სრული შეფარდებით.

III

სარატოვის მხარის ატკარსკის რაიაღმასკომის და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომის 4 ივნისის დადგენილებაზე „კოლმეურნეობათა მიერ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებათა შემუშავების, განხილვის და მიღების ღონისძიებათა შესახებ“

აღინიშნოს, რომ ატკარსკის რაიაღმასკომმა (თავმჯდომარე ამხ. ივლიევი) და საქ. კ.პ.(ბ) რაიკომმა (რაიკომის მდივანი ამხ. მორგუნი) იმის ნაცვლად, რომ საქმიანად ემუშავნათ და ცხოვრებაში გაეტარებინათ სარატოვის სამხარეო აღმასკომის და საქ. კ.პ.(ბ) სამხარეო კომიტეტის 17 მაისის დადგენილება „სარატოვის მხარეში კოლმეურნეობათა მიერ სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდებათა შემუშავების, განხილვისა და მიღების ღონისძიებათა შესახებ“, რაც მოწონებულია სსრ კავშირის მიწსახკომის და საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო - სამეურნეო განყოფილების მიერ, რაიონულ გაზეთში გამოაქვეყნეს თავისი უკანონო და საქმისათვის უსარგებლო დადგენილება ასეთივე სათაურით.

ამ დადგენილებაში რაიაღმასკომმა და საქ. კ.პ.(ბ) რაიკომმა:

რაიონის ფარგლებში კოლმეურნეობათათვის დააწესეს საკარმიდამო ნაკვეთების სხვადასხვა ოდენობა, რითაც დაარღვიეს სარატოვის სამხარეო აღმასკომისა და საქ. კ.პ.(ბ) სამხარეო კომიტეტის დადგენილება, მოწონებული მიწსახკომისა და ცენტრალური კომიტეტის სასოფლო - სამეურნეო განყოფილების მიერ.

გადასწყვიტეს ივნისის პირველ ნახევრის განმავლობაში მოახდინონ კოლმეურნეთა მთელი საკარმიდამო მიწების გაზომვა;

მისცეს თავისი განსაკუთრებული მითითებანი და დამატებანი წესდების IV კარის მე-6 მუხლზე.

ამასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის მიწსახკომი და საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო - სამეურნეო განყოფილება ადგენენ:

1. გაუქმდეს ატკარსკის რაიაღმასკომისა და საქ. კ.პ.(ბ) რაიკომის 4 ივნისის დადგენილება.

2. მიეთითოს ატკარსკის რაიაღმასკომს და საქ. კ.პ.(ბ) რაიკომს რომ, მათ არა აქვთ უფლება გამოსცენ რაიონის ფარგლებში თავისი საკუთარი კანონები საკარმიდამო ნაკვეთთა ოდენობაზე, სახელმწიფო აქტთა გაცემის ვადებზე და სხვ. და რომ მათი მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველჰყონ სარატოვის სამხარეო აღმასკომისა და საქ. კ.პ.(ბ) სამხარეო კომიტეტის 17 მაისის იმ დადგენილების ზუსტად გატარება, რომელიც მოწონებულია სსრ კავშირის მიწსახკომის და საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო - სამეურნეო განყოფილების მიერ.

IV

ივანოვო-სამრეწველო ოლქის სუდისლავსკის რაიაღმასკომის მიერ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებათა რეგისტრაციის წესის დარღვევის შესახებ

აღინიშნოს, რომ სუდისლავსკის რაიაღმასკომი (თავმჯდომარე ამხ. კარმანოვი), რაიაღმასკომის სხდომაზე წარდგენილი სასოფლო სამეურნეო არტელის წესდებათა რეგისტრაციის ნაცვლად წესდებებს ამტკიცებს, რაც ეწინააღმდეგება სასოფლო - სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებას.

წინადადება მიეცეს სუდისლავსკის რაიაღმასკომს შემდეგში რაიონის თვითეული სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდება რეგისტრაციაში გაატაროს რაიაღმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე, არტელის თავმჯდომარისა და სათანადო სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის მონაწილეობით, და გააუქმოს რაიაღმასკომის პრეზიდიუმის ყველა გადაწყვეტილება, რომელთა საშუალებითაც ხდებოდა წესდებების **დამტკიცება**.

V

დასავლეთის ოლქის ბელსკის რაიონში კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მასობრივი მოხსნის შესახებ

1. მომხდარი შემოწმების საფუძველზე აღინიშნოს, რომ დასავლეთის ოლქის ბელსკის რაიონში საგაზაფხულო თესვის მომზადებისა და ჩატარების განმავლობაში შეცვლილ იქნა კოლმეურნეობების 54 თავმჯდომარე, მათ შორის უმრავლესობა მოიხსნა ისე, რომ ამის საკმაო საფუძველი არ იყო.

2. გადაეცეს საქ. კ.პ.(ბ) ცენტრ. კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიას საქმე საქ. კ.პ.(ბ) ბელსკის რაიკომის მდივნის ამხ. კოვალევის მიერ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობაში პარტიული ხაზის დარღვევის შესახებ; ეს დარღვევა იმაში გამოიხატა, რომ კადრების აღზრდის ნაცვლად ამხ. კოვალევი მიმართავდა უხეშ ადმინისტრირებას; მან დაარღვია კოლმეურნეობების თანამდებობის პირთა არჩევისა და შეცვლის წესები, გათვალისწინებული სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდებით.

VI

კიევის ოლქის ბაბინსკის რაიონის კოლმეურნეობა „პლუგატარის“ გამგეობის მიერ ერთპიროვნული მეურნის კაზნოდის კოლმეურნეობაში მიღების დროს სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების დარღვევის შესახებ

წითელარმიელ - კოლმეურნე ივანე კაზნოდის მიერ საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილი წერილისა და ამ წერილთან დართული დოკუმენტების საფუძველზე აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობა „პლუგატარის“ გამგეობამ მისი ძმის ანტონ კაზნოდის კოლმეურნეობაში მიღების დროს დაუშვა სასოფლო - სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების შემდეგი დარღვევა:

1) დააკისრა ანტონ კაზნოდის კოლმეურნეობაში შეეტანა თავის მიერ გაყიდული ერთი ცხენის ღირებულება კი არა არამედ ორი ცხენის ღირებულება, რომლებიც მან გაჰყიდა სხვადასხვა დროს — 1933 წლის დამდეგს და 1934 წლის დამლევს.

2) დააწესა ცხენის ძალიან მაღალი ფასი.

3) ანტონ კაზნოდის დააკისრა შეეტანა კოლმეურნეობაში 6 ცენტნერი ფურაჟი, რაც არ არის გათვალისწინებული სანიმუშო წესდებით.

4) კოლმეურნეობაში შესულ ახალ წევრს ჩამოართვა ხელწერილი, სადაც მას გაფრთხილება ეძლევა, რომ გამორიცხული იქნება კოლმეურნეობიდან, თუ დაარღვია ზემოთ აღნიშნული ვალდებულებანი.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მიწსახკომი და საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო სამეურნეო განყოფილება ადგენენ:

წინადადება მიეცეს ბაბინსკის რაიაღმასკომს — გააუქმოს კოლმეურნეობა „პლუგატარის“ უმართებულო დადგენილება და განუმარტოს კოლმეურნეობა „პლუგატარის“ გამგეობის წევრებს და კოლმეურნეებს, რომ კოლმეურნეობაში ერთპიროვნული მეურნეების მიღების დროს ისინი ვალდებული არიან სავსებით და ზუსტად შეასრულონ სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდების მითითებანი.

VII

სარატოვის მხარის მაკაროვსკის რაიაღმასკომის მიერ კომბაინთა ქარხნის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის იმ წესდების რეგისტრაციის შესახებ, რომელშიაც დაშვებული იყო სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების მთელი რიგი დამახინჯებანი

აღინიშნოს, რომ მაკაროვსკის რაიაღმასკომმა რეგისტრაციაში გაატარა და გამოაქვეყნა რაიონულ გაზეთში კომბაინთა ქარხნის სახელობის სას. - სამეურნეო არტელის წესდება, რომელსაც ახლავს სასოფლო - სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების შემდეგი უხეში დამახინჯებანი:

1) წესდებით ყველა კოლმეურნისათვის დაწესებულია საკარმიდამო მიწის ერთიანი ოდენობა — 0,60 ჰექტარი, ნაცვლად რაიონისთვის დაწესებული ოდენობისა — 0,40 დან 0,70 ჰექტარამდე;

2) წესდებით განსაზღვრულია არტელის წევრთა პირად საჭიროებისათვის ცხენებით სარგებლობის მეტად მაღალი ქირა (დღეღამეში 10 მანეთი მძიმე სამუშაოებში და 5 მანეთი მსუბუქ სამუშაოებში) და არ არის აღნიშნული, თუ რა შემთხვევებში არ უნდა გადაიხდით ცხენის ქირა;

3) წესდებაში უკანონოდ შემცირებულია პირუტყვის რაოდენობა, რომელიც საკოლმეურნეო კომლს შეუძლია იყოლიოს პირად სარგებლობაში, სახელდობრ: 10 ცხვრისა და თხის ნაცვლად დაწესებულია 5 ცხვარი და თხა.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მიწსახკომი და საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის სას. - სამეურნეო განყოფილება ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს მაკაროვსკის რაიაღმასკომს — გააუქმოს თავის მიერ მოხდენილი რეგისტრაცია კომბაინთა ქარხნის სახელობის არტელის არასწორი წესდებისა, რომელიც არღვევს სანიმუშო წესდების ძირითად დებულებებს.

2. სარატოვის სამხარეო აღმასკომს და საქ. კ.პ.(ბ) სამხარეო კომიტეტს განსახილველად გადაეცეს საქმე მაკაროვსკის რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. კონონოვის და საქ. კ.პ.(ბ) მაკაროვსკის რაიკომის მდივნის ამხ. შუხნოვის, რომელთაც დაარღვიეს საბჭოთა კანონები და დაუშვეს კანცელარიულ-ბიუროკრატიული მეთოდები კოლმეურნეობების ხელმძღვანელობაში.

სსრ კავშირის მიწსახკომის მოადგილე — ა. მურალოვი.

საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის, სას.-სამეურნეო განყოფილების გამგე ი. იაკოვლევი.

გ. წულაძე □ □ □ □

მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის ტფ. ქიმიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე

დავნერგოთ მრეწველობაში სამეცნიერო ინსტიტუტების მიღწევები ▲ ▲ ▲ ▲ ▲

მძიმე მრეწველობის სახ. კომისარიატის საბჭოს სხდომაზე ამხ. სერგო ორჯონიკიძემ მძიმე მრეწველობის მთელ რიგ საკვანძო გადაუდებელ ამოცანათა შორის წამოაყენა ამოცანა ქიმიის წინწაწევისა, მისი აყვავებისა „იმ დონემდე, რომელსაც მოითხოვს ქვეყნის თავდაცვის და მთელი სახალხო მეურნეობის ინტერესები“.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა სამრეწველო ქიმია თავის ყრმობის პერიოდში იმყოფებოდა, მეცნიერული სოციალიზმის მამამთავრებმა მარქსმა და ენგელსმა განჭვრიტეს ის გიგანტური შესაძლებლობანი, რომელსაც შეიცავდა ქიმია, როგორც მეცნიერება ნივთიერებათა გარდაქმნის შესახებ. მთელი სახალხო მეურნეობის ზრდისა და წარმოებათა ახალი დარგების შექმნისთვის. „ქიმიის თითოეული მიღწევა,—სწერს კ. მარქსი „კაპიტალში“ — არა მარტო ამრავლებს სასარგებლო ნივთიერებათა რაოდენობას და უკვე ცნობილ ნივთიერებათა სასარგებლო გამოყენებას... ქიმიის პროგრესი გვასწავლის აგრეთვე წარმოების და მოხმარების პროცესის ეკსკრემენტების (ნარჩენების) შეყვანას უკან—რეპროდუქციის პროცესის წრებრუნვაში და ამრიგად ქმნის მატერიას ახალი კაპიტალისა კაპიტალის წინასწარ დაუხარჯავათ“. (ტ. II). „ნარჩენების გამოყენების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს ქიმიური მრეწველობა გვაძლევს. იგი ხმარობს არა თუ თავის საკუთარ ნარჩენებს, რომლებისთვისაც ახალ-ახალ გამოყენებას პოულობს, არამედ მრავალგვარ სხვადასხვა მრეწველობის დარგების ნარჩენებსაც, და აქცევს, მაგალითად, წინად სრულიად გამოუყენებელ ქვანახშირის ფისს ანილინის საღებავად, ენდროს საღებავად (ალიზარინად) და სულ უკანასკნელ დროს — წამლებადაც“. (ტ. III).

მრეწველობის არც ერთ დარგს არა აქვს ისეთი მრავალმხრივი და ღრმა განვითარების შესაძლებლობანი, როგორც ქიმიას, ვინაიდან მხოლოდ ქიმია იძლევა საშუალებებს ბუნების სიმდიდრეთა, ყოველგვარი ნედლეულის ფართოდ, ყოველმხრივ და სრული გამოყენებისათვის. დაბოლოს, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ვერც ერთი წარმოება ვერ იქნება სავსებით რენტაბელური ქიმიასთან კავშირის გარეშე. ნარჩენების უდიდესი რაოდენობა, რომელთანაც დაკავშირებულია წარმოების ყოველი დარგი უკლებლივ (ეს ნარჩენები იქნება თხიერი, აირადი თუ მყარი სახით) მხოლოდ ქიმიურ - ტექნოლოგიური პროცესების საშუალებით შეიძლება იქნას გადამუშავებული და გამოყენებული სახალხო მეურნეობაში. ამრიგად, წმინდა არაქიმიური წარმოებანიც კი დღეს საჭიროებენ ქიმიური საამქროთა ორგანიზაციას ძირითადი წარმოების ნარჩენების გადამუშავება-გამოყენებისათვის. ამიტომ ამხ. **სერგო ორჯონიკიძის** მიერ დასმული საბრძოლო ამოცანა ქიმიის აყვავებისა უფრო მაღალ— ქვეყნის თავდაცვისა და მთელი სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის შესაფერ დონეზე — ამავე დროს მჭიდროთ არის დაკავშირებული იმ დიდ ბრძოლასთან წარმოების რენტაბელობისათვის, რომელიც ფართოდ გაიშალა საბჭოთა კავშირის წამყვან საწარმოო ცენტრებში და საწარმოებში. ვინაიდან ეს ბრძოლა რენტაბელობისათვის მხოლოდ მაშინ გამოიღებს სრულ ნაყოფს, მხოლოდ მაშინ იქნება სავსებით ნაყოფიერი, თუ ჩვენი წარმოების ნარჩენთა მთელი ასი პროცენტი არა, ყოველ შემთხვევაში მისი დიდი ნაწილი მაინც, გადაქცეული იქნება სასარგებლო პროდუქტებათ.

აი ამ საქმეში ქიმიის აყვავებისა ქვეყნის თავდაცვის, მრეწველობის, შემდგომი განვითარების ნამდვილად კულტურული ინტენსიური სოფლის მეურნეობის შექმნის და ბუნებრივ სიმდიდრეთა ყოველმხრივ და სრულად გადამუშავება-გამოყენებისათვის შესაფერ დონეზე — ქიმიური - საკვლევა-ძიებო მუშაობა მოწოდებულია გადამწყვეტი როლი ითამაშოს. საკვლევაძიებო მუშაობის ფართოდ გაშლის გარეშე წარმოუდგენელია ტექნოლოგიური პროცესების მეცნიერული ორგანიზაცია.

განსაკუთრებით ფართო ამოცანები ისმება ქიმიური სამეცნიერო საკვლევაძიებო მუშაობის წინაშე ჩვენში — ამიერ - კავკასიაში და კერძოთ საქართველოში იმ დიდ ამოცანებთან დაკავშირებით, რომლებიც ამხ. **ლ. ბერიამ** წამოაყენა ქიმიური მრეწველობის დარგში ა.-კ. კომუნისტური ორგანიზაციების უკანასკნელ ყრილობაზე. ჩვენ ახლა ვქმნით მთელ რიგ ახალ ქიმიურ საწარმოებს. წინასწარი საკვლევაძიებო მუშაობის ჩატარება რაციონალურ ტექნოლოგიურ პროცესებს მისცემს ახალ წარმოებებს, აგვაცილებს მთელ რიგ შეცდომებს წარმოების ორგანიზაციაში და დაგვიზოგავს ასეულ ათას მანეთებს. ამავე დროს სამეცნიერო - კვლევითი მუშაობას შეუძლია შექმნას ახალი წარმოებანი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით და სხვ.

გაზეთ „ტექნიკას“ მიერ ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩატარებულ თათბირებზე გამოირკვა, რომ სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტები არ იბრძვიან თავიანთი მიღწევების დანერგვისათვის მრეწველობაში, თავის მისიას შესრულებულათ თვლიან მეცნიერული შრომის დამთავრებით და გამოქვეყნებით; მაგრამ ხშირად თვით მრეწველობა იჩენს მეცნიერული მიღწევების შეუფასებლობას, გაურბის ამ მიღწევების დანერგვას, არ ეხმარება სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტებს თეორიის და პრაქტიკის ერთიანობის განხორციელებაში.

რასაკვირველია, ამიერ - კავკასიისა და საქართველოს სამეურნეო ორგანიზაციებიც არ წარმოადგენენ გამონაკლისს ამ მაგალითიდან. მოვიყვანთ რამდენიმე ფაქტს.

წარსული წლის შემოდგომაზე მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ქიმიური ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ განიზრახა მჭიდრო კავშირის დამყარება სამეურნეო ორგანიზაციებთან. ამ მიზნით სექტემბერში მოწვეულ იქნა სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც ინსტიტუტის მუშაკებმა გააცნეს დამსწრეთ ინსტიტუტის მუშაობა საერთოდ და, კერძოდ, მუშაობა ინსტიტუტის გამოყენებითი განყოფილებისა, სადაც მეცნიერულად მუშავდება სამრეწველო თემები თათბირის მონაწილეთა წინადადებით ინსტიტუტის 1935 წ. გეგმაში შეტანილ იქნა მთელი რიგი ახალი საკითხები. მაგრამ რა? როცა სამეურნეო ორგანიზაციებს (საქ. ადგილობრივი მრეწველობის კომისარიატი, ა.-კ. მძიმე მრეწველობის კომისარიატი) დაუგზავნეთ ინსტიტუტის 1935 წ. მუშაობის გეგმა და ვსთხოვეთ ეცნობებიათ, თუ რომელ თემას გადასცემდნენ ინსტიტუტს დასამუშავებლად ხელშეკრულების საფუძველზე, — პასუხი ვერ მივიღეთ. ასე ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა დარჩა ინსტიტუტის დირექტორის აკად. ლ. გ. პისარჟევსკის განმეორებითი ვრცელი მიმართვაც.

ინსტიტუტის გამოყენებითი განყოფილებაში 1934 წ. დამუშავებულ იქნა მთელი რიგი თემები, რომელთაც აქტუალური მნიშვნელობა აქვთ საქართველოს და ამიერ-კავკასიის ქიმიური მრეწველობისათვის. ოთხი ასეთი სამუშაო, შესრულებული სწავლული სპეციალისტის **კ. ი. მაჭავარიანის** ხელმძღვანელობით (შეეხება მარგანეცის გამოყენება-გადამუშავებას) „გიპროქიმის“ დაბეჯითებითი მოთხოვნით გაეგზავნა მას ზესტაფონის პერმანგანატის ქარხნის პროექტის შედგენის საქმეში გამოსაყენებლათ. მაგრამ ინსტიტუტმა ვერასგზით ვერ „მოაწყო“ ორი შრომა, რომლებსაც არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ოთხ დასახელებულს. ამ ორი „მიუსაფარი“ შრომიდან ერთი შეეხება ჩვენში ალიუმინის მრეწველობის მძლავრი კერის შექმნას ადგილობრივი ნახშიროვანი ფიქალების ბაზაზე (ტყიბულის და ტყვარჩელის საბადოები), რომელთა სამრეწველო მარაგი მინიმუმი 20.000.000 ტონამდე შეიძლება ვივარაუდოთ.

ჩვენ აქ არ შევუდგებით ტექნოლოგიური პროცესის აღწერას. აღვნიშნავთ, რომ ალიუმინის წარმოება ჩვენი ნახშიროვანი ფიქალების ბაზაზე წარმოადგენს ისეთ წარმოებას, რომელიც თვითონ უზრუნველჰყოფს თავის თავს ენერგეტიკული ბაზით: მადანი, სანამ მისგან ალიუმინის ჟანგს მივიღებდეთ, უნდა დაიწვას (ერთი ტონა ნახშიროვანი ფიქალი იძლევა 3.000.000 კალორია სითბოს), მიღებული ნაცრიდან კი ვღებულობთ მასში მყოფი ალუმინის ჟანგის 75%-ს. ამრიგად, აქ თავიდან არის აცილებული მთავარი სიძნელე, რომელიც ჯერ-ჯერობით გვხვდება აქ ახალი საწარმოების დაპროექტების დროს — წარმოების ენერგეტიკული უზრუნველყოფა. რაც შეეხება პროდუქციის თვითღირებულებას, **ერთი ტონა ალიუმინის ჟანგი,** მიღებული ტყიბულის ნახშიროვანი ფიქალებიდან **ჩვენი ინსტიტუტის მეთოდით,** (დამუშავებულია ინჟ. კუპერმანის მიერ), უფრო ძვირია (242 მან. ტონა) ვიდრე დნეპრის ალიუმინის კომბინატში ფოკინ-რეისელის მეთოდით მიღებული პროდუქცია, (153 მანეთი), მაგრამ **გაცილებით იაფია,** ვიდრე იმავე კომბინატში ჟუკოვსკის მეთოდით მიღებული პროდუქცია (380 მანეთი), ან ვოლხოვის ქარხნის პროდუქცია (423 მანეთი ჟუკოვსკის მეთოდით, 382 მანეთი იაკოვკინის მეთოდით), ან სლავიანსკის ქარხნისა (287 მანეთი ტონა).

წარსული წლის 15 აპრილს მძიმე მრეწველობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში განსვენებულ ს. ჯუღელის თავმჯდომარეობით ჩვენი მრეწველობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა მონაწილეობით აკად. პისარჟევსკისა და მეთოდის ავტორის ინჟ. კუპერმანის მოხსენებების შემდეგ მიღებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილება:

„1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს ცდების გაგრძელება ტყიბულის ფიქალების გადასამუშავებლათ ალიუმინის ჟანგათ გოგირდმჟავა ამონიუმთან შეცხობის გზით გაფართოებულ ლაბორატორიულ მასშტაბით...

2. წინადადება მიეცეს მეცნიერებათა აკადემიის ა.-კ. ფილიალს მიმდინარე წლის 20 აპრილამდე წარმოადგინოს დაწვრილებითი ხარჯთაღრიცხვა და გეგმა შემდგომი მუშაობისა 35.000 მანეთის ფარგლებში.

3. მძიმე მრეწველობის კომისარიატის ა.-კ. სამმართველოს მძიმე მრეწველობის კომისარიატის საქ. სამმართველოსთან ერთად დაევალოს გამონახოს საჭირო თანხები აღნიშნულ სამეცნიერო - კვლევითი მუშაობის გასაგრძელებლათ“.

საჭირო მასალები დანიშნულ დროზე იქნა წარდგენილი, მაგრამ ამათ, დაპირებული თანხების მიღებას ვერ ვეღირსეთ. როცა ჯერი მიდგა საქმეზე, იმათგანაც კი ვერ ვეღირსეთ დახმარებას, ვინც ხსენებულ თათბირზე მხურვალედ უჭერდა მხარს ჩვენი მეთოდის რეალიზაციას (ტყიბულის წარმომადგენელი).

გავიდა წელიწადი. ინსტიტუტმა ასე ვსთქვათ, შინაური რესურსების მობილიზაციით, ფართო ლაბორატორიული მასშტაბითაც შეამოწმა თავისი მეთოდი და მოამზადა იგი ნახევრათ საქარხნო დადგმულობაში შესამოწმებლად.

თითქმის წინა დადგენილების წლისთავზე ჩვენ გვაქვს ა.-კავკასიის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ახალი დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია ინსტიტუტის მიერ მიღებული დადებითი შედეგები და „ტყვარჩელშენს“ და „ტყიბულ-ნახშირს“ ევალებათ გაიღონ 15.000 - 5.000 მანეთი მეთოდის შესამოწმებლად ნახევრად საქარხნო დადგმულობაში.

ამის შემდეგ მძიმე მრეწველობის კომისარიატის სამმართველოდან სისტემატიურად იგზავნება წერილები და დეპეშები კვიზანში და ტყიბულში წინადადებით — დააჩქარონ თანხების გადაცემა ინსტიტუტისათვის. ამ წერილებს და დეპეშებს ადგილზე, ალბათ, წესიერათ აკერებენ საქმეში, მაგრამ ა.-კ. უმაღლესი მთავრობის და ხელმძღვანელი სამეურნეო ცენტრის გადაწყვეტილებათა შესრულებაზე არ ფიქრობენ.

ასეთივე ბედი ეწია ინსტიტუტის მიერ დამუშავებულ მეორე მეთოდს — შაბის წარმოებას მჟავა მეთოდით ზაგლიკის ალუნიტებიდან.

არ მოვაწყენთ მკითხველს თავს ტექნოლოგიური პროცესების აღწერით. ავღნიშნავთ მხოლოდ, რომ შაბის მიღების ძველი მეთოდი არარენტაბელური აღმოჩნდა. ამის გამო ქარხანა თითქმის სამი წლის განმავლობაში დახურული იყო. ძველი მეთოდით მუშაობის დროს ერთი ტონა შაბის თვითღირებულება უდრიდა 330 მანეთს, გასასყიდი ფასი — 430 მანეთს; ახალი მეთოდით ერთი ტონა შაბი ჯდება 456 მანეთი, მაგრამ თითო ტონა შაბზე მიიღება კიდევ ორი ტონა გოგირდმჟავა ალიუმინი (230 მან. ტ.), ამრიგად **456 მანეთის დახარჯვით მიიღება 890 მანეთის პროდუქცია** და გარდა ამისა წარმოების სასარგებლო ნარჩენი—ე. წ. სი-შტოფი, რომელიც ჰიდრავლიკურ დამატებას წარმოადგენს.

აქ მთავარია კიდევ ის, რომ **ახალი მეთოდით მუშაობის დროს შაბის გამოსვლა თითქმის ერთი ორათ იზრდება (16—18 პროც. ძველი მეთოდით და 32 პროც. ჩვენი მეთოდით).**

წარსული წლის ბოლოში აზერბეიჯანის ადგილობრივი მრეწველობის კომისარიატმა თხოვა ინსტიტუტს გამოცდილი სპეციალისტის მივლინება ზაგლიკის შაბის ქარხნის კონსერვაციიდან გამოყვანის საქმეში მონაწილეობის მისაღებად. ინსტიტუტმა მიავლინა ბაქოში ზემოხსენებული მეთოდის ავტორი ინჟ. კუპერმანი.

1935 წ. 25 იანვარს აზერბ. ადგ. მრეწველობის კომისარიატის სამთო-ქიმიურ სამმართველოში შესდგა თათბირი ზაგლიკის ქარხნის გამოყვანის შესახებ კონსერვაციიდან.

აქაც გამოტანილი იქნა ინსტიტუტისათვის ფრიად სასიამოვნო დადგენილება:

„ყველაზე უფრო მიზანშეწონილად ჩაითვალოს მეცნიერებათა აკადემიის ტფ. ქიმიური ინსტიტუტის მიერ დამუშავებული მჟავა მეთოდი შაბის და გოგირდმჟავა - ალიუმინის მიღებისა ალუნიტებიდან“.

ამ დადგენილებით ინსტიტუტს უნდა შეედგინა ქარხნის რეკონსტრუქციის პროექტი, უზრუნველეყო ქარხნის რეკონსტრუქცია ინჟ. კუპერმანის კონსულტაციით, ქარხნის ამუშავების დროს გაეგზავნა სპეციალისტების ბრიგადა და სხვა.

სამმართველოს მიერ დანიშნულ დროისათვის ინსტიტუტმა სამმართველოს გადაუგზავნა ყველა საჭირო მასალები (ხარჯთაღრიცხვა, ეკონომიური დასაბუთება). ინსტიტუტი არ დაკმაყოფილდა ამით. აკად. პისარჟევსკიმ სამხარეო პარტიული კომიტეტის წინაშე აღძრა შუამდგომლობა ზაგლიკის ქარხნის უზრუნველყოფის შესახებ გოგირდმჟავას საჭირო რაოდენობით (ქარხნის უზრუნველყოფა გოგირდმჟავათი ყველაზე უფრო საძნელო საქმეს წარმოადგენდა). სამხარეო კომიტეტის დახმარებით მივიღეთ მტკიცე დაპირება, რომ ქარხანა უზრუნველყოფილი იქნებოდა გოგირდმჟავათი. ეს სასიხარულო ამბავი ვაცნობეთ აზერბეიჯანის ადგილობრივი მრეწველობის კომისარიატში, მაგრამ იქიდან არაფერი ისმოდა სასიხარულო. კომისარიატის დიდი ხნის დუმილის შემდეგ, როცა საქმეში ჩაერია სამხარეო კომიტეტის სამრეწველო განყოფილება, გავიგეთ, რომ ამხანაგებს აზერბეიჯანის ადგილობრივი მრეწველობის კომისარიატიდან ისევ გადაუწყვეტიათ ძველი გატკეპნილი გზით სიარული — ქარხნის ამუშავება ძველი მეთოდით. ამ განზრახვას კატეგორიულად აღუდგა წინ ა.-კ. ადგილობრივი მრეწველობის კომისარიატი, რომელმაც თავის დადგენილებაში წინადადება მისცა აზერბ. ადგ. მრეწველობის კომისარიატს დაუყოვნებლივ დაედვა ჩვენს ინსტიტუტთან სათანადო ხელშეკრულება იმ ანგარიშით, რომ 1-ლ ნოემბრის ქარხანა ამუშავებულიყო ახალი მეთოდით. ეს იყო 13 მაისს. მაგრამ აზერბ. ადგილობრივი მრეწველობის კომისარიატის ხელმძღვანელი მუშაკები თავისას განაგრძობდნენ.

ამიერ-კავკასიის ადგილობრივ მრეწველობის კომისარიატმა ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე მოაგონა აზერბეიჯანის ადგ. მრეწ. კომისარიატს დადგენილების შესრულების აუცილებლობა და, როგორც იქნა, მისგანაც ეღირსა პასუხს, რომელშიც უკანასკნელი აღიარებს რა „ინჟ. კუპერმანის მიერ მეცნიერებათა აკადემიის ტფ. ქიმიურ ინსტიტუტში დამუშავებულ მჟავა მეთოდის უპირატესობას შაბის წარმოების ძველი მეთოდის წინაშე“, აცხადებს, რომ „დროებით იძულებული არის თავი შეიკავოს მჟავა მეთოდზე გადასვლისაგან“ და ამის ძირითად მიზეზათ ასახელებს გოგირდმჟავას უქონლობას!

ამით ვათავებთ ისტორიას მეცნ. აკადემიის ტფილისის ქიმიური ინსტიტუტის ამაო ცდების შესახებ— დაინერგა მრეწველობაში თავისი მუშაობის აღიარებული და მოწონებული შედეგები.

ჩვენ სრულებით არ ვკარგავთ იმედს, ვინაიდან არ გვსურს ვიმუშაოთ არქივისათვის. დიდი **სტალინი** გვასწავლის თეორიის და პრაქტიკის ერთიანობას. ამ ერთიანობას უნდა მივაღწიოთ, რაც არ უნდა დაგვიჯდეს.

◆

არ დაუშვათ პარტდოკუმენტების ფორმალურად შემოწმება

პარტიული დოკუმენტების შემოწმებას და მათ წესრიგში მოყვანას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა პარტიულ ორგანიზაციებს „უმოკლეს ვადაში დაამყარონ ბოლშევიკური წესრიგი ჩვენს საკუთარ პარტიულ სახლში“.

ტფილისის რაიონის პარტორგანიზაციაში 733 წევრი და კანდიდატია. 1 ივნისისათვის შემოწმებული იყო პარტიის 414 წევრი და კანდიდატი. შემოწმებას ატარებს და აქტს ადგენს პირადად რაიკომის მდივანი ამხ. შელია და მეორე მდივანი ამხ. ლომიძე.

შემოწმების შედეგად გამომჟღავნებულია პარტიული დოკუმენტების ცუდად შენახვის მთელი რიგი ფაქტები. შემოწმებულ წევრ-კანდიდატებიდან 80-ს პარტბილეთი აღმოაჩნდა უწესო მდგომარეობაში. ზოგში არასწორად არის აღნიშნული გვარი, სახელი და მამის სახელი, დაბადების წელი, ერთი და იმავე ხასიათის ჩანაწერი საწევრო წიგნაკებსა და პირად საქმეებში არ შეეფერება ერთმანეთს.

გამომჟღავნებულ იქნენ უცხო ელემენტები, რომლებიც სარგებლობდენ პარტიის მანდატით და ზიანს გვაყენებდნენ. მაგალითად, შემოწმების შედეგად გამომჟღავნებულ იქნა კულაკი ბონდარევა (კოლმეურნეობა „გიგანტი“). მან პარტიის საწევრო ბილეთი გაიძვერობით და ზოგიერთი პარტიულის კლასობრივი სიფხიზლის დაკარგვის შედეგად ჩაიგდო ხელში. ორთაჭალის კოლმეურნეობიდან ვინმე ამბაკო მხეიძე ითვლებოდა ორგანიზაციაში და თავდაცვაავიაქიმის საწევრო წიგნაკის ყდაში ჩადებული ჰქონდა პარტსაკანდიდატო წიგნაკის ფურცლები; ის პარტიის კანდიდატად ასაღებდა თავს და იხდიდა საწევრო გადასახადს. ვინმე სოლიკო სიკოსძე ყოჩიშვილი (საგურამოს მოანგარიშეთა რესპუბლიკური კურსები) პარტიის წევრად ასაღებდა თავს, პარტიის ბილეთში კი უწერია ყოჩიაშვილი სიკო ისაკისძე, რაც მისი სიტყვით, თითქოს უბრალო შეცდომაა და იგი მამის სახელზეა გატარებული.

მიღწევებთან ერთად პარტიული დოკუმენტების შემოწმების დარგში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ რაიკომის მეორე მდივანი ამხ. ლომიძე პარტიის დოკუმენტებს ამოწმებს მხოლოდ პარტბილეთით და პირადი ბარათით, სხვა დოკუმენტებს კი (სამხედრო წიგნაკი, პასპორტი, კ. კ. საწევრო) არ თხოულობს, მაშინ როდესაც შემოწმებამ ნათელჰყო რომ ზოგიერთებს პარტიულ დოკუმენტებში განსხვავებები აქვთ. მაგალითად, 29 ივნისს ამხ. ლომიძემ მარტო პარტდოკუმენტით შეამოწმა: აკობიძე, კარიმოვი, ფეიქრიშვილი ლევან და სხვ.

ლომიძე პარტიული დოკუმენტების შემოწმების დროს რამდენიმე ამხანაგს ერთად იძახებს და ისე ატარებს შემოწმებას. შემოწმების დროს კაბინეტში მიდი-მოდიან რაიონიდან ჩამოსული ამხანაგები და ამგვარად შემოწმება ღებულობს არასერიოზულ სახეს. აქტები დღევანდლამდე გადაუბეჭდავია და ნაწილნაწილად დაწერილი ბლოკნოტის ფურცლებზე.

პარტიული დოკუმენტების ასე ზერელედ და ნაუცბათევად შემოწმება ყოვლად მიუღებელია. ჩანს, ზოგიერთ ამხანაგს ჯერ კიდევ არ გამოუტანია საჭირო დასკვნა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მითითებიდან, რომ დაუშვებელია პარტიული დოკუმენტების ფორმალურად შემოწმება.

ვ. სიხარულიძე.

ვცდილობ პირველობა შევინარჩუნო

(კომბაინერ ა. ლუდუშაურის წერილი).

მე ახლა ვმუშაობ მოსავლის აღებაზე სოფ. ტიბაანის (სიღნაღის რაიონი), კოლმეურნეობის ყანაში. აზრად მომივიდა ჩვენი მუშაობის შესახებ წერილი დამეწერა გაზეთში.

შარშანდელთან შედარებით წელს გაცილებით უკეთ მოვემზადეთ მოსავლის ასაღებად. ეს, უმთავრესად, იმითაც აიხსნება, რომ წნორის მტს-ის დირექცია დიდი მზრუნველობით ეპყრობა კადრებს.

მოსავლის აღების დაწყებამდე მინდვრად 5 დღით ადრე გავედი. მინდორი აქტით ჩავიბარე წნორის მტს-ის დირექტორის, უფროსი აგრონომის, უფროსი მექანიკოსისა და კოლმეურნეობის თავმჯდომარის თანდასწრებით.

მუშაობის დაწყებამდე, ჩემს თანაშემწე - კოლმეურნე მიშა ჯალიაშვილთან და ტრაქტორისტ ილიკო კურეტიშვილთან ერთად, დავათვალიერე მთელი მოსამკელი ნაკვეთი. აქა-იქ თხრილებზე ბოგირები არ იყო გაკეთებული, რის გამო შეუძლებელი იქნებოდა კომბაინის ერთი ნაკვეთიდან მეორეზე გადასვლა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ხაბა ალავერდაშვილმა, რომელსაც დავუყენეთ ბოგირების გაკეთების საჭიროების საკითხი, ეს საქმე სასწრაფოდ მოაგვარა. მტს-ის სატრაქტორო ბრიგადირის ამხ. მაქრო გურაშვილისაგან დავალების მიღებისთანავე შევუდექი მუშაობას. კომბაინით დღეში უნდა ავიღო 7 ჰექტარი, სინამდვილეში ვიღებ 12-13 ჰექტარს, რადგან პარტიამ და ხელისუფლებამ წელს საუკეთესო პირობები შეგვიქმნა თავდადებული მუშაობისათვის. მაგალითად, დაწესებული ნორმით 1 ჰექტარი პურეულის მომკაში ვიღებ 2 მან. და 50 კაპ., ხოლო თვითეულ გადამეტებულ ჰექტარზე 4 მანეთს.

მთელს სეზონში კომბაინით უნდა ავიღო 160 ჰექტარი. ამ გეგმის შესრულებისათვის მივიღებ 160 კილოგრამ მარცვლეულს პრემიის სახით.

ჩემს კომბაინზე მომაგრებულია აღმრიცხველი, რომელიც ზუსტად რიცხავს ჩემსა და ჩემი ამხანაგების მიერ შესრულებულ სამუშაოს.

კომბაინი არცერთი საათით არ გამიცდენია. გეგმით წინასწარ ვიცი, რაც უნდა გავაკეთო. ყანა შესწავლილი მაქვს, ამიტომ ტყუილუბრალოდ არ ვაცდენ კომბაინს. კომბაინზე ორი ურემია მომაგრებული, **გაივსება თუ არა ბუნკერი მარცვლით, ურმებს მარცვალი შეუფერხებლივ გადააქვთ კალოზე.**

საღამოს მუშაობის დამთავრების შემდეგ, თანაშემწეს და ტრაქტორისტთან ერთად საფუძვლიანად ვათვალიერებ კომბაინის ნაწილებს და, თუ ქანჩი ან ჭანჭიკი მოშვებულია, ვასწორებთ; კომბაინს ვასუფთავებთ და ვზეთავთ.

კოლმეურნეებს ძალიან უხარიათ, როცა მათ მინდვრებზე კომბაინი მუშაობს. ეს გასაგებია, რადგან **კომბაინი პურს ყველა მანქანაზე უფრო სწრაფად, სუფთად იღებს და ლეწავს.**

მესამე წელია, რაც კომბაინერად ვმუშაობ და ბეჯითი მუშაობისათვის ყოველწლიურად მაჯილდოებენ. გასულ წელს კომბაინით პურეული 180 ჰექტარზე ავიღე. წელს, ეჭვი არ მეპარება, გაცილებით მეტს ავიღებ.

გვახალისებს ისიც, რომ ყოველ 5 დღეში ერთხელ მომკილი პურისათვის ვღებულობ საფასურს. 25 ივნისს მტს-ის უფროსმა მექანიკოსმა ამხ. გ. ქერეჭაშვილმა თვითონ მოგვიტანა ფული.

თავი დამკვრელად მაქვს გამოცხადებული. სოცშეჯიბრებაში გამოვიწვიე მე-13 კომბაინის კომბაინერი ამხ. ვასო კუტაშვილი. მართალია, ვასო ყოჩაღი ბიჭია, მაგრამ ყოველნაირად ვცდილობ პირველობა შევინარჩუნო.

კომბაინერებმა ხელფასი პირველად მიიღეს ახლებურად

მოსკოვი, 2 ივლისი. კომბაინერთა შრომის ასანაზღაურებლად გაიგზავნა პირველი 10 მილიონი მანეთი. სამხრეთის ბევრ სამანქანო-სატრაქტორო სადგურსა და საბჭოთა მეურნეობებში კომბაინერებმა ხელფასი პირველად მიიღეს ახლებურად. შემოღებულია ისეთი წესი, რომლის მიხედვითაც გამომუშავება ყოველ ხუთ დღეში ზუსტად გამოიანგარიშება. ხელფასის გამოანგარიშება ხდება სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ა.-წლის 21 აპრილის დადგენილებაში მოცემულ მითითებათა საფუძველზე. ინკასატორები უშუალოდ მინდვრად არიგებენ ხელფასს.

სახელმწიფო ბანკის სასოფლო-სამეურნეო სექტორმა იმ მიზნით, რომ აღმოფხვრას ოდნავი დაგვიანებაც კი კომბაინერთა ხელფასის ანაზღაურებაში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს ავანსად გადაუგზავნა 5.260 ათასი მანეთი და საბჭოთა მეურნეობებს 5 მილიონი მანეთი. ყველაზე მეტი თანხა სამხრეთის რაიონებმა მიიღეს: უკრაინის სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა — 1.216 ათასი მანეთი, აზოვ-შავიზღვის მტს-ებმა — 524 ათასი მანეთი, სტალინგრადის მხარის მტს-ებმა — 458 ათასი მანეთი (ატს).

ტფილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის ეზო მთლიანად გამწვანებულია. ფერადი ყვავილნარებით პალმებით და დეკორატიულ მცენარეებით მოფენილ ეზოში გაყვანილია ასფალტირებული გზები და ხეივნები. ხოლო გზებზე და ხეივნებზე ორივე მხარეს დადგმულია გრძელი სკამები დასასვენებლად. მოწყობილია აუზი. სურათზე: მთავარი ხეივანი და ყვავილნარი.

ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის საუკეთესო დამკვრელები — ბერაია (მარცხნიდან—მარჯვნივ), ბერეჟერცევა და შერემეტიევა, რომლებიც ჩაის კრეფის ყოველდღიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ.

ჩაის კრეფაში მოწინავე სასოფლო საბჭო

(ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან).

ქობულეთის რაიონის კოლექტიურმა და ერთპიროვნულმა მეურნეობებმა მაისში სახელმწიფოს 125.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი დააკლეს. რაიონში, საბჭოთა მეურნეობების გამოკლებით, მოიკრიფა 605.769 კილოგრამი ჩაი, ანუ მაისის გეგმის 82,8 პროცენტი.

მაისის დანაკლისის დასაფარავად ივნისში საჭირო იყო კრეფის ტემპების გაძლიერება, მაგრამ ეს ასე როდი მოხდა. ივნისში ისევ გაგრძელდა ჩამორჩენა. რაიონის კოლექტიურ და ერთპიროვნულ მეურნეობებს 26 ივნისისათვის მოკრეფილი ჰქონდა 249.633 კილოგრამი ჩაის ფოთოლი (გეგმის 69 პროცენტი). გეგმის შესრულებაში თითქმის ყველა სასოფლო საბჭო ჩამორჩა.

მთელ ქობულეთის რაიონში ჩაის კრეფის გეგმას ვადაზე და მაღალხარისხოვნად მხოლოდ **ვოროშილოვის სასოფლო საბჭო** ასრულებს. ამ სას. საბჭომ მაისის გეგმა 100.6 პროცენტით შეასრულა. მთელი **მოკრეფილი ფოთლის 98 პროცენტი პირველი ხარისხისაა.**

26 ივნისისათვის ვოროშილოველებს ივნისის გეგმა 96,1 პროცენტით ჰქონდათ შესრულებული,— მოკრეფილი იყო 11.158 კილოგრამი ჩაი.

ვოროშილოვის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ნური ცეცხლაძე და აგრონომი მურად გოგიტიძე** მეტ დროს ჩაის პლანტაციებში არიან. სისტემატიურად ამოწმებენ კოლმეურნეობების და ერთპიროვნულ მეურნეთა პლანტაციებს. სწავლობენ ჩამორჩენის მიზეზებს და ადგილზევე ეხმარებიან მკრეფავებს ნაკლის გამოსწორებაში.

კოლმეურნეობა „მუშა და გლეხში“, პირველ ხანებში, ყველა ნაკვეთზე კრეფის ერთი ნორმა იყო დაწესებული, რის გამო დაბალი იყო შრომის ნაყოფიერება. ეს დროზე ამხილა „კომუნისტმა“. ვოროშილოვის სასოფლო საბჭომ ამ სიგნალის შემდეგ ნაკლი დაუყოვნებლივ გამოასწორა ამის შემდეგ მუშაობასაც წინსვლა დაეტყო.

კოლმეურნეობა „წინსვლას“ არ ჰყოფნიდა მკრეფავები. კარლ მარქსისა და № დივიზიის სახელობის კოლმეურნეობებს კი მუშა ხელი ჭარბად მოეპოვებოდათ. ვოროშილოვის სასოფლო საბჭომ მარქსისა და № დივიზიის სახ. კოლმეურნეთა საერთო კრებებზე დაამუშავა კოლმეურნეობა „წინსვლასთვის“ დახმარების საკითხი. კოლმეურნეებმა მოიწონეს საბჭოს წინადადება.

სოციალისტური დახმარებით კოლმეურნეობა „წინსვლამ“ მოსალოდნელი ჩამორჩენა თავიდან აიცილა. მან მაისის გეგმა 102,5 პროცენტით შეასრულა, ივნისის გეგმა კი (26 დღეში) 101,2 პროცენტით.

ჩაის კრეფასთან ერთად ვოროშილოველები პლანტაციების თოხნაშიც წინ მიდიან. 25 ივნისისათვის პლანტაციების პირველი და მეორე თოხნა მათ უკვე დამთავრებული ჰქონდათ.

ტ. აცანელი.

მარტო დაწყება როდი კმარა!

(წალენჯიხის რაიონი)

სამი წლის წინათ დაიწყო სოფ. ჯვარის სკოლის მშენებლობა. ამ მშენებლობისათვის გადადებული იყო 30 ათასი მანეთი. აქედან 15 ათასი მანეთი რაიაღმასკომის ყოფილმა თავმჯდომარემ (ც. ბასილაია) დახარჯა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის დავალიანების დასაფარავად. მას შემდეგ სამი წელი გავიდა. სკოლის მშენებლობა დღესაც არ არის დამთავრებული, დაწყებულ შენობას წვიმა დასდის და ნადგურდება.

ასეთივე მდგომარეობაა ქვემო და ზემო მაზანდარის დაწყებითს სკოლებში. ორი წელიწადია, რაც ამ სოფლებში სკოლის ოთხი კედელი ამოიყვანეს, მაგრამ ისინი დღესაც გადაუხურავია და ღია ცის ქვეშ ლპება და ინგრევა.

უკვე ორი წელიწადია, რაც შეუდგნენ ფახულანის დაწყებითი სკოლის შენობის აგებას, მაგრამ იგი დღესაც დაუმთავრებელია. საშენი მასალა მინდორში ყრია და აწვიმს.

ხამესხიის დაწყებითი სკოლა ორცვლად მეცადინეობს. სკოლა დაქირავებულ შენობაშია მოთავსებული.

ახალი სასწავლო წელი ახლოვდება საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება.

ვლ. ზარქუა.

საწყობები გადაკეთებას საჭიროებენ

(ტფილისის საქონლის სადგურის მტვირთავი მუშის წერილი).

ტრანსპორტის მუშაკთა თათბირზე ჩვენმა რკინის სახკომმა ამხ. კაგანოვიჩმა დასახა კონკრეტული ამოცანები ვაგონების მიმოქცევის დაჩქარებისა და ტვირთზიდვის გაძლიერებისათვის. კერძოდ ერთერთ ღონისძიებად დასახული იყო მშენებლობისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების სათანადოდ გაშლა.

აღსანიშნავია, რომ ტფილისის საქონლის სადგური ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის სუსტად იბრძვის.

ჩვენში ბევრი რამ აფერხებს დატვირთვა - გადმოტვირთვის სამუშაოებს.

სადგურმა დღე-ღამის განმავლობაში პირველ და მეორე ლიანდაგებში 240 ვაგონი უნდა გადაამუშაოს, ვაგონების სწრაფი მიმოქცევისათვის საჭიროა შესაფერისი პირობების შექმნა, საწყობები ძველი წესით არის ნაგები და ვიწროა. აშენების შემდეგ არავის უზრუნვია მათ გადაკეთება - გაფართოებაზე. პირველიდან მე-21 საწყობამდე ღია ბაქანი უბრალო რიყის ქვით არის მოფენილი, რაც აძნელებს ელექტრო, და ხელის ურიკების მუშაობას, პირველიდან მე-12 საწყობამდე წინა — გადმოსატვირთი და უკანა-ავტომანქანების მისაყენებელი ბაქნები დანგრეულია, და ესეც ხელს უშლის ელექტროურიკების მუშაობას. ურიკები ხშირად ვარდება და ზიანდება. ბაქნების მოუწყობლობა მტვირთავებსაც უშლის ხელს, ხოლო ზოგჯერ მარცხიც ხდება: მაგალითად, 11 ივნისს მე-2 საწყობის წინ, ვაგონის გადმოტვირთვისა და ტვირთების განხარისხების დროს, გადმოვარდა ყუთი, დაეცა მუშა დათა აბულაძეს და ჩაჩეხა ბაქანში. სამი დღის ავადმყოფობის შემდეგ აბულაძე გარდაიცვალა.

საწყობების სახურავები უვარგისია, წვიმა ჩამოდის და აფუჭებს საქონელს. მე-11 საწყობის წინ ბაქანზე წვიმის დროს სამი სანტიმეტრის სიმაღლეზე დგება წყალი და თუ დროზე არ მიიღე ზომები, ბარგი გაფუჭდება.

საწყობებს კარებიც არ უვარგა, უმეტესობა მორყეულია და 10-15 წუთია საჭირო საწყობების გაღება—დაკეტვისათვის. 15 საწყობის ბაქნის ბოლოში 1932 წლიდან განზრახული იყო ვაგონების გადასაწონი სასწორის გაკეთება, ამისათვის დაიწყეს მიწის სამუშაოები, კიდეც გათხარეს ორმო 10 მეტრის სიგრძე — სიგანეზე და 2 მეტრის სიღრმეზე. შემდეგ მუშაობა შეაჩერეს და დარჩა პირდაღებული ორმო, რომელიც ახლა ანტისანიტარიის ბუდედ გადაიქცა. ორმო ხელს უშლის ეზოში შემოსულ ავტომანქანებს. სადგურის მეურნეობას დატვირთვა - გადმოტვირთვის ოპერაციებში ელექტროურიკები დიდ დახმარებას უწევს, მაგრამ ეს მანქანები ცოტაა, ხოლო რაც არის, მათაც უძნელდებათ მუშაობა ბაქნების სივიწროვის გამო.

არსებული მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს, რათა საქონლის სადგურმა შეუფერხებლად იმუშაოს. ახლავე უნდა შევუდგეთ საწყობების რეკონსტრუქციას და მომზადებული შევხვდეთ გაძლიერებულ ტვირთზიდვას.

ივ. ჩიგოგიძე.

მეტი ყურადღება პედაგოგიური კადრების მომზადებისათვის

დედამიწის არც ერთ კუთხეში არ არსებობს ისეთი ხელსაყრელი პირობები ადამიანის აღზრდისა და განვითარებისათვის, როგორიც საბჭოთა კავშირშია. თუ როგორია ადამიანისთვის ზრუნვა, ახალი ცხოვრების მშენებელთა მიმართ პარტიის სიყვარული, ეს ნათლად ჩანს დიდი ბელადის ამხ. სტალინის ისტორიულ, საპროგრამო სიტყვაში, სამხედრო აკადემიკოსთა გამოშვების დროს. პარტიამ მთელი თავისი სიღრმით დასვა საკითხი იმ პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკების აღზრდისა, რომელნიც, გულწრფელად ემსახურებიან მუშათა კლასს, იბრძვიან სოციალიზმის მშენებლობისათვის.

სოციალისტური კულტურის მშენებლობის მაღალი ტემპისათვის მაღალკვალიფიციური კადრებია საჭირო. ასეთი კადრები ესაჭიროება ჩვენს სკოლას, რომელსაც პარტიისა და ხელისუფლების მიერ დაკისრებული აქვს ისეთი უდიდესი ხელოვნების ათვისება, როგორიცაა ახალი ადამიანის აღზრდა.

მასწავლებელმა საბჭოთა ბავშვს უნდა ჩაუნერგოს ჩვენი ცხოვრების გაგება, აღზარდოს საბჭოთა ნამდვილი პატრიოტი და აღკვეთოს „ყოველგვარი ცდა, ჩაუნერგონ საბჭოთა სკოლის ბავშვებს ანტიპროლეტარული იდეოლოგიის ელემენტები“. მაგრამ მასწავლებელმა რომ ეს შესძლოს, ის უნდა შეიარაღდეს მარქს - ენგელს - ლენინ - სტალინის დიადი რევოლუციური თეორიით და დაეუფლოს საბჭოთა პედაგოგიურ ტექნიკას. ეს კი გვავალებს განუხრელად შევასრულოთ პედკადრების მომზადების შესახებ საყვარელი ბელადის ამხ. სტალინის მითითება: „ახლა მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანებს, კადრებს, მუშაკებს, რომელნიც ტექნიკას დაეუფლებიან“. განათლების ფრონტის ხელმძღვანელმა მუშაკებმა უნდა გაიგონ და შეითვისონ მთელი მნიშვნელობა ამხ. სტალინის ისტორიული, ბრძნული თქმისა: „მთელ იმ ძვირფას კაპიტალთაგან, რომლებიც მსოფლიოში მოიპოვება, ყველაზე ძვირფასსა და ყველაზე გადამწყვეტ კაპიტალს ადამიანები წარმოადგენენ“, „კადრები სწყვეტენ ყველაფერს“.

საბჭოთა საქართველოს დიდი მიღწევები აქვს მასწავლებელთა აღზრდასა და მომზადება - გადამზადებაში. საყოველთაო განათლების გატარებასთან დაკავშირებით — დაწყებითისა და საშუალო სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტი 160 ათასიდან (1921 წ.) აიდა 600 ათასამდე 1935 წლისათვის. მარტო უკანასკნელი 5-6 წლის განმავლობაში ჩვენმა პედაგოგიურმა სასწავლებლებმა და კურსებმა საბჭოთა სკოლას 10.000-ზე მეტი ახალი მასწავლებელი მისცეს. 1920 წლიდან დღემდე მასწავლებელთა რიცხვი საქართველოში 5.800-დან 18.000-მდე ავიდა.

დიდი მუშაობა გავწიეთ მასწავლებლის მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ამ დარგში ჩვენს პედაგოგიურ სასწავლებლებს ჯერ კიდევ აქვთ ნაკლი. ეს აღნიშნა კიდეც ამხ. სტალინმა მე-17 პარტყრილობაზე და მიგვითითა — გამოვეყვანა პედგანათლება მივიწყებიდან, მოგვესპო ამ საქმის ჩამორჩენილობა, რაც სახელმწიფო ინტერესების დარღვევას უახლოვდება.

ამჟამად ჩვენ გვაქვს 53 პედტექნიკუმი 8.500 სტუდენტით და 3 პედინსტიტუტი 2.000 სტუდენტით. პედტექნიკუმების პროდუქცია დღეს უკვე ძირითადად აკმაყოფილებს დაწყებითი სკოლების მოთხოვნილებას მასწავლებლებზე მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არასრულ და სრულ საშუალო სკოლის მოთხოვნილებას უმაღლესი პედსასწავლებლები მხოლოდ 10-20 პროცენტით აკმაყოფილებენ. საშუალო სკოლის მასწავლებელთა 60 პროც. არა აქვს მიღებული უმაღლესი პედგანათლება.

ამიტომ სადირექტივო ორგანოების დადგენილების თანახმად, ახალი სასწავლო წლიდან ტფილისში, ბათომსა და გორში იხსნება 2-წლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი: წელს ჩვენს პედინსტიტუტებში უნდა მივიღოთ 1300-დე სტუდენტი ა-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილება, ამხ. ლ. ბერიას მითითება სასწავლო წლის ბოლშევიკურად მომზადებაზე, ავალებს ჩვენს ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანიზაციებს ხელი შეუწყონ პედაგოგიური სასწავლებლების საუკეთესო კონტინგენტით დაკომპლექტებას. საუკეთესო საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდობა უნდა მივსცეთ ჩვენს უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებს, არასრულ საშუალო სკოლის საუკეთესო პროდუქცია უნდა მიიღოს პედტექნიკუმებმა, რათა პედსასწავლებლებიდან შემდეგ მივიღოთ ახალი კომუნისტური კულტურის ღირსეული მშენებელნი, ადამიანთა აღზრდის კარგი ოსტატები.

პარტიულმა საბჭოთა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ ამ უაღრესად დიდ მნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელებას განათლების ორგანოების მიერ. ზოგიერთი რაიონის პარტორგანიზაციები ამ მხრივ უკვე ლენინურ - სტალინური ზრუნვის მაგალითებს იძლევიან (ლაგოდეხის რაიკომი - მდივანი ამხ. ვ. იმედაძე და სხვ.).

დიდ მუშაობას გავწევთ ზაფხულის პერიოდში მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. სხვადასხვა სახის გადასამზადებელ კურსებს გაივლის 4.000-მდე მასწავლებელი (ისტორიისა, გეოგრაფიისა, მშობლიური ენისა და სხვ.)

წელს დამთავრდება 7 პედტექნიკუმისა და 3 ინტერნატის შენება, რაზედაც დაიხარჯება ორნახევარი მილიონი მანეთი.

დიდი მუშაობაა გასაწევი პედსასწავლებლების პროგრამების გადამუშავებისა, სახელმძღვანელოების გამოცემის, სტუდენტთა დროის რეჟიმის მოგვარებისა და მატერიალურ - საყოფაცხოვრებო საკითხების გაუმჯობესებისათვის.

მთელი ძალები უნდა იქნეს მობილიზებული ამხ. სტალინის მითითებათა შესრულებისა და ა-კ. ხელმძღვანელის ამხ. ლ. ბერიას დავალებათა რეალიზაციისათვის საბჭოთა მასწავლებლის აღზრდისა და მომზადება - გადამზადების საქმეში.

ჩვენს საბჭოთა სკოლას ღირსეული აღმზრდელი საბჭოთა პედაგოგი უნდა ჰყავდეს.

კ. ბერიძე.

პუშკინი ქართულად

ალექსანდრე პუშკინი, „ევგენი ონეგინი“. თარგმანი გრიგოლ ცეცხლაძისა

ტფილისი, სახელგამი, 1935 წ.

ა. პუშკინის რომანი ლექსად „ევგენი ონეგინი“ იმ თხზულებათა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა თარგმნა სხვა ენაზე დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ცნობილია, რომ არც ფრანგებს, არც გერმანელებს, არც ინგლისელებს არა აქვთ ამ თხზულების ისეთი თარგმანი, რომ ორიგინალის ღირსი იყოს. მიზეზი ამ გარემოებისა, ცხადია, ამ თხზულების თავისებურებაა. რუსეთის სახელოვანი კრიტიკოსი ბესარიონ ბელინსკი მართალი იყო, როდესაც პუშკინის რომანს „რუსული ცხოვრების ენციკლოპედია“ უწოდა, ვინაიდან რომანი თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია ამ ცხოვრების სპეციფიკური არომატით, რომლის გადასაცემად უცხო ენაზე ძალიან დიდი ოსტატობაა საჭირო.

პუშკინის რომანის ქართული თარგმანის საჭიროება დღითიდღე იზრდება. გრიგოლ ცეცხლაძის ინიციატივა უეჭველად მისალმების ღირსია.

უნდა ითქვას, რომ მთარგმნელი საკმაოდ ახლო მისდევს ორიგინალს და თარგმანში თითქმის ყველა შინაარსეულ დეტალს გვაძლევს თუ ისეთ ნიუანსებზე არ ვილაპარაკებთ, რომლის გადმოცემა ქართულ ენაზე ძალიან ძნელია, ან და შეუძლებელი. მაგრამ თარგმანში არის რამდენიმე შემთხვევა, როცა დარღვეულია ეს სიზუსტე. მაგალითად, ორიგინალის პირველი სტრიქონები:

> «Мой дядя самых честных правил:
> Когда не в шутку занемог,
> Он уважать себя заставил.»

თარგმანში გადმოცემულია ასე:

> „დარბაისლად ცნობილ ჩემს ბიძას
> ავადმყოფობა როს შეეჩვია,
> პატივისცემას მოითხოვს დიდძალს“...

გარდა იმისა, რომ თარგმანს აკლია აქ ორიგინალის ბუნებრივობა და სიმსუბუქე („როს“, „პატივისცემას მოითხოვს დიდძალს“), თარგმანში არა ჩანს ის, რაც ორიგინალის შესატყვისი ადგილის ქვინტ-ესენციას შეადგენს. პუშკინი ახასიათებს აქ ონეგინს, როგორც ფრანგულ ყაიდაზე აღზრდილ ეგოისტს, რომელიც ყველაფერს დასცინის, რომლისთვისაც წმინდა და ხელშეუხებელი არაფერია და რომელსაც „კრიტიკის“ საშუალებით წაუშლია და გაუნიავებია ნათესაობრივი გრძნობაც კი. ეს ეგოიზმი და ეს ირონიული დამოკიდებულება ცხოვრების სერიოზული მოვალეობისადმი თარგმანში, ჩემი აზრით, შეცვლილია საწინააღმდეგო გრძნობებით და ონეგინი წარმოდგენილია როგორც გულკეთილი ნათესავი, რომელიც შეწუხებულია თავისი ბიძის ავადმყოფობით. სტრიქონი:

> „უკეთ ვერ იქმდა, რაღა ეჭვია“.

რომელიც მისდევს ზემომოყვანილ სიტყვებს, ვერ ასწორებს საქმეს და თარგმანში იჭრება დისონანსი.

საკმაოდ ზუსტად ვერ არის თარგმნილი შემდეგი სტრიქონებიც:

> «Мы все учились понемногу
> Чему-нибудь и как-нибудь:
> Так воспитанием, слава богу,
> У нас немудрено блеснуть».

ეს ქართულად თარგმნილია (გვ. 3):

> „ჩვენც გვისწავლია ცოტა რაღაცა,
> მაინც და მაინც ბევრი არავის:
> ისე რომ აღზრდით, მადლობა ზეცას,
> ჩვენში ბრწყინვალე ძნელი არ არის“.

თარგმანში აზრი დაბნელებულია და პუშკინის სატირას თავად-აზნაურობაზე ამოცლილი აქვს თავისი გესლი.

თუ ორიოდე ასეთსავე ადგილს არ მივიღებთ მხედველობაში, შეიძლება ითქვას, რომ თარგმანი უსათუოდ დამაკმაყოფილებელია.

თარგმანი შესრულებულია მსუბუქი ქართული ენით. მთარგმნელმა შესძლო პუშკინის რუსული სიტყვები და გამოთქმები საკმაოდ შესატყვისი ქართული სიტყვებითა და გამოთქმებით გადმოეცა. ოღონდ აქაც უნდა აღინიშნოს, რომ პუშკინის სტილის ადექვატური გადმოცემა სხვა ენაზე ძლიერ ძნელია და ქართულ თარგმანშიც გვხვდება ალაგ-ალაგ ისეთი გამოთქმები, რომლებიც ჩამოუვარდებიან ორიგინალს როგორც სიმსუბუქით, ისე სხარტობითაც.

რაც შეეხება თარგმნის ფორმალურ მხარეს, აქ მთარგმნელს, ჩვენი შეხედულებით, აუღია პუშკინის ენის ტემპი და დაუძლევია მისი ლექსის სიძნელეები, რამდენადაც ეს მთარგმნელს საზოგადოდ მოეთხოვება. ორიგინალის ოთხტერფიანი იამბი გადმოთარგმნილია ათმარცვლოვანი, სრულიად იზომეტრული ქართული ლექსით. რითმების მორიგეობა თარგმანში ისეთივეა, როგორც ორიგინალში, რაც თარგმანის პლიუსს შეადგენს. ეს მით უმეტეს აღსანიშნავია, რომ პუშკინის რომანი სტროფებისაგან არის აშენებული, და ეს სტროფები შეადგენენ რომანის ფორმალური მთლიანობის ხერხემალს. თარგმანში დაცულია ორიგინალის სტროფული კომპოზიცია: 4 სტრიქონიანი მოსაზღვრე, ჯვარედინი და გარემომცველი რითმები ურყევი წესიერებით სცვლიან ერთმანეთს და ლაღი რიტმიული ნაკადის შთაბეჭდილებას ჰქმნიან.

აგრეთვე უნდა ითქვას, რომ მთარგმნელი თავის თარგმანში ისე მშვენივრად გადმოგვცემს ორიგინალის იმ თავისებურობას, რომელსაც პოეზიის თეორიაში ეწოდება enjambement. პუშკინის რომანში ხშირია ასეთი enjambement ან „გადატანა“, სადაც წინადადების საზღვრები არ ემთხვევიან სტრიქონის საზღვრებს და პირველის ბოლო ხვდება მეორის შუა ადგილში. თვითონ პუშკინი განზრახ და მოფიქრებულად სარგებლობდა ამ ხერხით. ეს იყო იმ ოპოზიციის ერთერთი გამოსახულება, რომელსაც უწევდა ახალგაზრდა რომანტიკული სკოლა ფსევდოკლასიკურ პოზიციას. ამ უკანასკნელის თეორეტიკოსები სასტიკად მოითხოვდენ, რომ წინადადების ბოლო დამთხვეოდა ლექსში სტრიქონის ბოლოს. პუშკინი კი თავისი მაგალითით ამტკიცებს, თუ რამდენად უსაფუძვლო და მწერლის უკანონო შეზღუდვა იყო ფსევდოკლასიკური პოეტიკის ზემოაღნიშნული მოთხოვნა, და ძალიან ხშირად სარგებლობს თავის რომანში „გადატანით“. ამით „ონეგინის“ სტროფს ეძლევა წყვეტილი რიტმი, და ლექსი უახლოვდება სასაუბრო ენის ძალდაუტანელს, ბუნებრივ დენას.

მთარგმნელს კარგად შეუსწავლია ორიგინალის ეს თავისებურება და კვალდაკვალ მისდევს მას თავის თარგმანში,

მტკიცება, რომ ქართულ ენაზე პუშკინის „ევგენი ონეგინი“ არ შეიძლება უკეთ გადმოითარგმნოს, რა თქმა უნდა, უსაფუძვლოა. მაგრამ, მე ვფიქრობ, გრიგოლ ცეცხლაძის თარგმანი იმ თარგმანთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს, სადაც მჟღავნდება მთარგმნელის ცოდნა და შრომისმოყვარეობა.

ს. დ—ა.

ქალაქის მხატვრულად გალამაზებისათვის*)

ქალაქის მხატვრულად გალამაზების მხრივ ტფილისში ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს ის ნაკლი, რომელიც ამ მუშაობას უსათუოდ თან ახლავს.

ქალაქის სილამაზეში სკვერები და შადრევნები თვალსაჩინო როლს თამაშობს. მაგრამ ზოგიერთს მათი მოწყობა სულ სხვა გვარად გაუგია და ამ საქმეს თავის პირად შეხედულება - გემოვნებას უფრო უქვემდებარებს, ვიდრე საერთო ინტერესს.

ცხადია, ქალაქის მხატვრულად გალამაზებისათვის მნიშვნელობა არა აქვს სკვერების და შადრევნების მარტო რიცხვს. აქ მთავარია ხარისხი. ულაზათო და მხატვრულ დამაჯერებლობას მოკლებული შადრევნები ფეხის ყოველ ნაბიჯზეც რომ ავაგოთ, ისინი ქალაქის მხატვრულად გალამაზებაში მნიშვნელოვან როლს ვერ შეასრულებენ, პირიქით უფრო დაამახინჯებენ მის სახეს. ერთ კარგათ მოწყობილ, მრავალფეროვნად ნაგებ შადრევანს კი შეუძლია თავისი მხატვრული სილამაზით მთელ რაიონს გასწვდეს. სამწუხაროთ ამ მიმართულებით ტფილისში წარმოებული მუშაობა, სწორედ ხარისხის მხრივ მოიკოჭლებს. ტფილისმა უკვე ორი საკმაოდ მოზრდილი შადრევანი შეიძინა. ერთი პლეხანოვის პროსპექტზე (ახლად გახსნილ ბაღში) და მეორე ელბაქიძის ბაღში (ელბაქიძის დაღმართზე). მესამის აგება განზრახულია პუშკინის ბაღში.

როგორია ნაგებობათა ხარისხი? უნდა ითქვას, რომ მეტად დაბალი. არც ერთ მათგანს ხუროთმოძღვრობისა და ქანდაკების დაღი არ აზის და სწორხაზოვან ფანერკის ფიგურებს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე მხატვრულ ნაწარმოებს. პლეხანოვის გამზირზე აგებულ შადრევანში მის შემთხზველთ, როგორც ჩანს, სოკოს სახის მხატვრულად გამოხატვის სურვილი ჰქონიათ. მაგრამ სოკოს ნაცვლად იგი უფრო ბუტაფორული ქოლგის შთაბეჭდილებას სტოვებს.

იგივე ითქმის ელბაქიძის ბაღის შადრევანზეც. არც მას ამჩნევია ხუროთმოძღვრის და მოქანდაკის ნამდვილი ხელი. იქ ცივად გამოკვეთილ შიშველ სხეულს უჭირავს შესანიშნავი ადგილი. ასეთ თვალსაჩინო ადგილზე ასეთი მახინჯი შადრევნის აგება პირდაპირ დანაშაულია. შადრევანთა ავტორებს, როგორც ჩანს, ჰგონიათ, რომ შადრევნები მარტო ღამით უნდა ჩანდენ, რადგან ღამ-ღამობით შადრევნებში ანთია სინათლე, რამაც თითქოს რაღაც ილუზია უნდა შექმნას, დღისით კი ეს შადრევნები უსაცოცხლო მანეკენებივით დგანან.

ჩვენი აზრით, აღნიშნული შადრევნები საჭიროებენ აუცილებელ გადაკეთებას.

როგორ შეიძლება ამ შადრევნების გარდაქმნა ისე, რომ მათ გაამართლონ თავიანთი დანიშნულება? რა არის ამისთვის საჭირო? უპირველეს ყოვლისა საჭიროა მათი ნაგებობის შენარჩუნება, რომ გაწეული შრომა არ დავკარგოთ უნაყოფოდ. მაგრამ ამავე დროს მათ უნდა დაემატოს ისეთი რამ, რაც ჩვენთვის უფრო ადვილი, ხელმისაწვდომი ძვირფასი და იაფია და ამავე დროს უაღრესად მხატვრული ღირებულების მქონე. ამ მიზნით ჯერჯერობით ჩვენ შემოგვაქვს ასეთი წინადადება: ელბაქიძის ბაღის ერთ ადგილას სდგას ვიღაც დიდი შემოქმედის (ვინაობა გამოურკვეველია) თუთიის სფინქსი, რომელშიაც იშვიათის ოსტატობით გამოკვეთილია ასეთი სურათი: ერთი უზარმაზარი ირემი, თავზე უზარმაზარი რქებით სდგას ყალყზე (უკანა ფეხებზე). ტაიჭივით აღმართულს, მას ამაყურად უჭირავს თავი. იქვე მის გვერდით, სდგას კეკლუცი ტანის დედა ირემი, ყელმოღერებული ლამაზი ქალივით. ეს სანახაობა მართლაც დიდ შთაბეჭდილებას ჰქმნის. ირმების სხეულის თითეული ნაკვთი გენიალურად არის ხორცშესხმული. ყოველი მათი კუნთისა და ძარღვის გამოკვეთა მიქელ ანჯელოს მადლიან ხელს გაგონებთ. წარმტაცი და მიმზიდველია იგი. გხიბლავთ იმდენად, რომ გინდათ სულ იდგეთ მის წინ და ჰვრეტდეთ.

ჩვენის აზრით, ღირსშესანიშნავი სფინქსი უნდა დაიდგას ელბაქიძის ბაღის შადრევანზე ზემოდან, შადრევანი კი უნდა სჩქეფდეს ამ ლამაზად ყელმოღერებულ ირმის პირიდან. აქედან ამოხეთქილი წყალი დასტოვებს შთაბეჭდილებას, თითქოს მეორე, ყალყზე შემდგარ ირემს პირი წაეტანებინოს შადრევანისაკენ, წყლის დალევას ლამობდეს და ყალყზე მიტომ შემდგარიყოს. ამგვარად, ამჟამად არსებული უმსგავსო შადრევანი შეიცვლის თავის ძველ უნდილ სახეს და გადაიქცევა ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ შადრევნად მთელ ქალაქში. ამის განხორციელება დიდ ხარჯებს არ მოითხოვს. საჭიროა მხოლოდ ამ იშვიათად ლამაზი სფინქსის აღება მიგდებული ადგილიდან და შადრევანზე დადგმა. შადრევანზე ამისათვის საკმარისი ადგილია დატოვებული. საჭირო იქნება მხოლოდ სფინქსში შადრევნისათვის ერთი პატარა წყლის მილის გაყვანა, რაც იაფი დაჯდება. კარგი იქნება აგრეთვე სფინქსში გამოსახულ ირმების შეღებვა ბუნებრივობასთან შეხამებულ ფერებით.

ნიკოლოზ კველიშვილი

---

*) წინადადების წესით. რედ.

ბელორუსიის მწერლები მოსკოვს გაემგზავრნენ

თითქმის ორი თვეა, რაც ბელორუსიის მწერლები საქართველოში იმყოფებიან. მათ შეისწავლეს სოციალისტური მშენებლობა ჩვენში. ისინი გაეცნენ ადამიანებს, რომლებიც აშენებენ ახალ, ბედნიერ ცხოვრებას. მათ შეისწავლეს თანამედროვე ქართული მწერლობა, მათ ნახეს ქართული მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშები. ისინი ღრმად ჩასწვდნენ სოციალისტური შრომის პროცესებს ქარხნებში და სოციალისტურ მინდვრებზე. მათ შეაგროვეს მდიდარი მასალა საბჭოთა საქართველოზე და დაბრუნდნენ ტფილისს, სადაც ამ ორი თვის წინათ ჩამოვიდნენ და ტფილისის მშრომელ საზოგადოებას აუწყეს ჩამოსვლის მიზანი: საბჭოთა საქართველოს შესახებ უნდა შეადგინონ მხატვრული წიგნი. აი, დაბრუნდნენ ისინი საქართველოს რაიონებიდან და გუშინწინ, 2 ივლისს, ტფილისის პროლეტარების წინაშე წარსდგნენ ანგარიშით.

საქართველოს საბჭოთა მწერლებთან და ტფილისის საზოგადოებასთან ბელორუს მწერალთა შეხვედრის საღამო მოეწყო ვოროშილოვის კლუბში, სადაც, ამხ. დ. დემეტრაძის შესავალი სიტყვის შემდეგ, ბელორუსიის მწერალთა ბრიგადის მუშაობის შედეგებზე სიტყვით გამოვიდა ბრიგადის თავმჯდომარე ვიტალ ვოლსკი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა: ჩვენ საქართველოში ვგრძნობდით თავს არა როგორც სტუმრები, არამედ როგორც ქართველ კოლმეურნეთა და მუშათა ძმები, როგორც მკვიდრნი საქართველოსი, ვინაიდან ჩვენ ძმურად გვაკავშირებს ჩვენი წარსული; ჩვენ ხომ ერთნაირად გვჩაგრავდა რუსეთის ცარიზმი. ჩვენ გვაკავშირებს ჩვენი სინამდვილე და ჩვენი დიადი მომავალი. ბოლოს ჩვენ გვაკავშირებს ჩვენი დიდი სამშობლო —საბჭოთა კავშირი.

თავის მოკლე და შინაარსიან სიტყვას ამხ. ვოლსკი ამთავრებს ორდენოსან საქართველოს მშრომლებისადმი მიმართვის წაკითხვით, რაც მქუხარე ტაშით და მუსიკის გუგუნით იფარება.

შემდეგ დაიწყო მხატვრული განყოფილება. საქართველოზე დაწერილი ლექსები და ნარკვევები ბელორუსულ ენაზე წაიკითხეს **ხვედოროვიჩმა, სამუილიონოკმა, მიკულიჩმა;** განსაკუთრებული აღფრთოვანებით და გულთბილად შეხვდა აუდიტორია ბელორუსიის პოლონელი პოეტის, **კოვალსკის** გამოსვლას. მათ წაიკითხეს აგრეთვე ბელორუსულ და პოლონურ ენებზე გადათარგმნილი ქართველი პოეტების **ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის და სანდრო ეულის** ლექსები.

ქართველმა მწერლებმა **შალვა დადიანმა, ვალერიან გაფრინდაშვილმა, სანდრო ეულმა, ირაკლი აბაშიძემ, დავით გაჩეჩილაძემ და მიქელ პატარიძემ** წაიკითხეს სტუმრების და ბელორუსიის კლასიკოსების ნაწარმოებთა ქართული თარგმანები.

მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნეს საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტს — ამხ **ლ. ბერიას,** ბელორუსიის კ. პ. (ბ) ც. კ-ს—ამხ. **გიკალოს** და საფრანგეთის დიდ მწერალს **რომენ როლანს.**

საღამო დამთავრდა საკონცერტო განყოფილებით, სადაც ქართული მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშები შეასრულეს მომღერალმა ცომაიამ და მეჩონგურე ქალთა ანსამბლმა.

⁂

ბელორუსიის მწერალთა ბრიგადა გუშინ გაემგზავრა მოსკოვს, სადაც შეხვდება ბელორუსიაში მივლინებულ ქართველ მწერალთა ბრიგადას, ხოლო იქიდან წავა მინსკში.

სამაგალითოთ ჩავატაროთ მორიგი გაწვევა წითელ ჯარში

ამ დღეებში პლეხანოვის სახელობის თეატრში გაიმართა ლენინის რაიონის 1913 წელს დაბადებულ წვევამდელთა კონფერენცია, ფაბრიკა-ქარხნების სამკუთხედების წარმომადგენელთა თანდასწრებით.

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. **მშვენიერაძე.**

გაწვევისთვის მოსამზადებელ მუშაობის გაწევის შესახებ რაისაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებიდან გამოვიდა ამხ. **ბარძიმაშვილი.** მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გასაწვევთა შორის უკვე აღმოჩენილია ერთი ხმის უფლებააყრილი და 19 არასაიმედო ელემენტი. ამასთან აღნიშნა: ზოგიერთ ფაბრიკა-ქარხნის სამკუთხედები გაწვევის საქმეს არ ეკიდებიან სერიოზულად, გასაწვევ პირთა დახასიათებებს შაბლონურად ადგენენ. ამასთან წვევამდელებიც არ ესწრებიან ნორმალურად მეცადინეობას სალიკვიდაციო სკოლებში და საქმიმო ჯგუფებში.

გაწვევისათვის წინასწარი მზადებაში მოწინავე არიან: „26"-სა, კიროვის სახ. ქარხნები და ავტოქარხანა №8, ჩამორჩებიან, მაცივარი და ბურის ქარხანა №1, რომლებსაც ამ საქმისათვის არაფერი გაუკეთებიათ.

კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ კიროვის სახ. ქარხნის დამკვრელი — წვევამდელი ამხ. **დავითიანი,** რომელმაც მოუთხრო კონფერენციას თავისი დამკვრელობის ამბავი და აღნიშნა, თუ როგორ მუშაობას ეწევიან წვევამდელთა შორის თავდაცვითი მუშაობის გამტკიცების დარგში.

წვევამდელი ამხ. **ბერაია** აღნიშნავს თუ როგორი სიხარულით მოდიოდა ის სამხედრო წერტზე სამეცადინოდ და რა სიხარულით მოელის ის ჯარში გაწვევას, რისთვისაც ემზადება ყოველ მხრივ; ჩემი მიზანია გაწვევისათვის საუკეთესო დამკვრელი გავხდე საბრძოლო ამოცანების შესრულებაშიო.

ძალიან მოხდენილი სიტყვით გამოვიდა კონფერენციაზე წვევამდელთა სკოლის დაჯილდოვებული პედაგოგი ქალი ამხ. **კალანდია,** რომელმაც გამოსთქვა რწმენა, რომ მისი ჯგუფის ახალგაზრდები წითელი არმიის რიგებში სამაგალითო მებრძოლები იქნებიან.

ლენინის რაიონში მზადება გაწვევისათვის უკვე გაჩაღებულია. წვევამდელთა მზადება „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის" და „ვოროშილოვისებურ მსროლელის", ნიშნებზე, ნორმების ჩასაბარებლად ნორმალურად მიმდინარეობს. არანორმალურია მხოლოდ წვევამდელთა დასწრება სალიკვიდაციო სკოლებსა და საქმიმო ჯგუფებში, რაც ფაბრიკა-ქარხნების სამკუთხედების დახმარებით და თვით წვევამდელთა გააქტივებით — სასწრაფოდ უნდა მოწესრიგდეს.

ს. ხვედელიძე

[illegible]

ექიმმა სპეციალობა გამოიცვალა

მოქ. ა. პ. ქუთაისის საავადმყოფოში არწმუნებდა ყველას, რომ მას უნდოდა საკუთარი საშუალებით მოეშალა მუცელი. მაგრამ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში ავადმყოფმა ვერ მოითმინა და სიმართლე თქვა:

— აბორტი ექიმმა **თადეოზ შენგელიამ** გამიკეთა, მაგრამ როდესაც ავადმყოფობა გამირთულდა, დამარიგა, ეს არავისთან გამიმხილოო.

თადეოზ შენგელია სპეციალობით ბავშვის სნეულებათა ექიმია, მაგრამ ის თავის სპეციალობაზე არ მუშაობს. სახლში (ბერიას ქ. № 1, შესახვევი) მოაწყო კერძო საავადმყოფო და მეტად ბნელ, მაგრამ სარფიან საქმეს — აბორტების კეთებას — მიჰყო ხელი. ვინ იცის, რამდენი ქალი გამოასალმა მან წუთისოფელს, რამდენი ქალი დაასახიჩრა სამუდამოდ.

ქუთაისის მუშგლეხინი ჯერ კიდევ 1933 წელს დაინტერესდა ამ საქმით, მაგრამ ლმობიერ სასჯელს (სასტიკი საყვედურით გაფრთხილებით) დასჯერდა, იმის ნაცვლად, რომ ბოროტმოქმედი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა.

ამიტომ იყო, რომ შენგელიამ არ მიატოვა თავისი ხელობა. შემთხვევა, რომელზედაც ჩვენ ზემოთ ვლაპარაკობდით, მიმდინარე წლის მაისში მოხდა.

უეჭველია, შენგელია არც შემდეგში დაანებებს თავს ამ საზიზღარ საქმეს, თუ ძალით არ დაანებებენ.

ვ. ლ — ი.

„მისამართის გადასწორება აკრძალულია"

მაისში საქ. კ.პ. (ბ) გალის რაიკომმა ხუთელზე მიმავლინა და საშუალება არ მქონდა გაზეთები გალის ფოსტაში გამომეწერა ამიტომ მივმართე ახიგვარის განყოფილებას და ვთხოვე გაზეთები: „კომუნისტი", „ახ. კომ.", „კოლექტივიზაცია", „სოვეტსკაია აბხაზია" გამომეწერა გალის (საცხოვრებელი ადგილის) მისამართით.

რამდენიმე ხნის შემდეგ გავიგე, რომ გაზეთები ახიგვარის მისამართით გამოეწერათ. მოვითხოვე მისამართის გადასწორება. ფოსტის გამგე დამპირდა, მაგრამ ეტყობა, დაპირება დაავიწყდა და გაზეთებს მაინც ვერ ვღებულობ. „სოიუზპეჩატის" რწმუნებულ ეხვაიას, რომ შევჩივლე, ასე მითხრა:

— ჩვენ დირექტივა გვაქვს მიღებული, რომ მისამართების გადასწორება არ შეიძლებაო.

უცნაური ამბავია: მისამართის არევა თურმე შეიძლება, ხოლო გადასწორება კი სასტიკად აკრძალულია.

ბოლოს და ბოლოს, ასე მომიშორეს თავიდან:

— მოქალაქევ, ამ თვეს მოითმინე და შემდეგისათვის მოვახერხებთ რამესო.

გაზეთის თვითეულმა მკითხველმა იცის, რა უფრო ადვილია: მთელ თვეს უგაზეთოდ დარჩენა, თუ მისამართის გადაკეთება.

მაგრამ რატომ ფოსტის ბიუროკრატებმაც არ იციან ეს?

აქვსენტი მარხულია.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„ჭერს პატრონი არა ჰყავს".

„კომუნისტის" ა.-წლის 28 მაისის ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით: „ჭერს პატრონი არა ჰყავს". წერილი ეხებოდა სოფ. კუმისის (ტფილისის რაიონი) კოოპერატივის ნოქარს **ვანო კუმელაშვილს,** რომელსაც ბრალად ედებოდა მომხმარებლების ზომა-წონაში მოტყუება და ლოთობა.

ტფილისის რაიკოოპკავშირის პრეზიდიუმი გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. **ვ. კუმელაშვილი** მოხსნილია სამუშაოდან და მიცემულია პასუხისგებაში.

„მხოლოდ დაპირება"

„კომუნისტის" ა.-წლის 14 მაისის ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით: „მხოლოდ დაპირება", რომელიც შეეხებოდა სოფ. ბერძნის წყაროს (სამტრედიის რაიონი) ფოსტა-ტელეგრაფის სააგენტოს გამგე **გრ. შანიძეს,** რომელსაც ბრალად ედებოდა სახელმწიფო თანხის მითვისება.

საქ. კავშირგაბმულობის სამმართველო გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. **გრ. შანიძე** მოხსნილია სამუშაოდან და მიცემულია პასუხისგებაში.

ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკა



1932 წელს ქუთაისში დაიწყო ახალი სამკერვალო ფაბრიკის შენობის აგება. მშენებლობა დამთავრდა წელს თებერვალში. ფაბრიკის შენობა ორსართულიანია, ხოლო იმ მხარეს, სადაც დირექციაა მოთავსებული, სამსართულიანი. შენობის მოცულობა 35 ათას კუბიკურ მეტრს უდრის. ფაბრიკაში მოთავსებულია 5 საამქრო და საფაბრიკო-საქარხნო სკოლა.

სურათზე; ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკის ახალი შენობა.

დიდი ნიაღვარი ჩხარის რაიონში

26 ივნისს, ღამის 10 საათიდან დაიწყო ძლიერი კოკისპირული წვიმა, რამაც 2 ნახევარ საათს გასტანა. პატარა ღელეები ადიდებულ, ძლიერ მდინარეებად გადაიქცნენ, ხოლო მდინარეებმა გადმოხეთქეს ნაპირები. წალეკეს ნათესები და ვენახები დაანგრიეს წისქვილები. ამჟამად რაიონის 50 წისქვილიდან მუშაობს მხოლოდ ორი და ისინიც ნაწილობრივ დაზიანებულია. მოსახლეობა ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა, ვინაიდან გაძნელდა სიმინდისა და საერთოდ მარცვლეულის დაფქვა.

მდინარეებმა დაანგრიეს და წაიღეს თავასის, თუზის, საზანოს, და სიქთარვის ხიდები და ბოგირები. ნიაღვარმა დაანგრია და დააზიანა რაიონის ყველა მნიშვნელოვანი შარა-გზა. ამჟამად რაიონი მოწყვეტილია სარკინიგზო ხაზს, რადგან მდინარე ჩოლაბურმა წაიღო ჩოლაბურის ხიდი, რომელიც აკავშირებდა ჩხარის რაიონს ზესტაფონთან. გარდა ამისა, ეს ხიდი აკავშირებდა აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ საქართველოსთან. მთელს რაიონში ზარალი ორ მილიონ მანეთზე მეტია.

ნიაღვარს მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლიც. ჯერჯერობით იპოვეს 10 დამხრჩვალი კაცის გვამი. დაიღუპა პირუტყვიც.

რაიკომმა და რაიაღმასკომმა ენერგიული ზომები მიიღეს. რაიონის აქტივი მთლიანად გაგზავნილია სოფლებში ზარალის გამოსარკვევად და დაზარებულებისთვის დახმარების აღმოსაჩენად. მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება ვერ შესძლებს ნიაღვრით გამოწვეული ზარალის აღდგენას. რესპუბლიკის მთავრობამ უნდა გაგვიწიოს დახმარება ხიდების სასწრაფოდ აღდგენისათვის.

დ. სიმონგულოვი

●

სოფ. ქვედა-ხაზანოში (ზესტაფონის რაიონი) ნიაღვარმა წალეკა ყანები და ბაღ-ვენახები. ადიდებულმა ღელეებმა ჯიტაცეს წისქვილები. მაძარვლის ღელეს წისქვილიდან ადიდებულმა მდინარემ გაიტაცა და დაახრჩო გლეხები—ლევან და კარპე ურიბთმყოფლები, ისმაილ მიქაბერიძე, ძმები შალიკო და გალაქტიონ გიკაშვილები, რომლებიც წისქვილში სიმინდის დასაფქვავად იყვნენ მისული. ორი მათგანი მეორე დღეს იპოვნეს მდ. ჩოლაბურის პირას გამორიყული, ხოლო დანარჩენებს დაეძებენ. ასითავე ბედი ეწია ზუსას ღელეზე წიწილაშვილს. გარდა ამისა მდ. ყვირილამ გადარეცხა საჩხერე-ჭიათურის რკინისგზის ხაზი. მატარებლების მიმოსვლა ღენახევარს შეჩერებული იყო.

ა. გიწაძე.

□

კულტურული ვაჭრობისათვის

გორის რაიონულმა მაღაზიამ კულტურული ვაჭრობისა და კოლმეურნეთა საქონლით ფართოდ მომარაგებისათვის სრ. საკავშირო კონკურსში მეორე ჯილდო მიიღო.

კოოპერატიული ვაჭრობის საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით, 12 ივლისს ცეკავშირის კორში მართავს საქართველოს რაიონული მაღაზიების დირექტორების კრებას.

საპარაშუტო სპორტის პიონერები

საპარაშუტო საქმეს საქართველოში დიდი ხნის ისტორია არა აქვს, მაგრამ ის მძლავრად იკიდებს ფეხს თავდაცვის დამკვრელთა შორის.

საქართველოში ჯერჯერობით 18 ახალგაზრდა პარაშუტისტმა მიიღო პირველი „საჰაერო ნათლობა". მათში იმდენად დიდია ამ საქმის ინტერესი, რომ სრულებით არ აშინებთ საპასუხისმგებლო გადმოხტომაც კი. ეს დაამტკიცა 24—30 ივნისს რუსთავის აეროდრომზე მოწყობილმა გადმოხტომამ, რომელიც პარაშუტისტ-ინსტრუქტორთა სკოლის ინიციატივით მოხდა. 30 ივნისი ჩვენი ახალგაზრდა პარაშუტისტების სასახელო გამოცდის დღე იყო. შუადღის 12 საათზე თვითმფრინავის ფრთებიდან მოსწყდა პირველი პარაშუტისტი ამხ. **ინწკირველი,** მეორედ გადმოხტა სკოლის მსმენელი—მაუდის ფაბრიკის მუშა-კომკავშირელი **გალავეშკინი,** შემდეგ **კურდღლაშვილი,** განსაკუთრებით ლამაზად და მოხდენილად გადმოხტა **გ. ბახუტაშვილი,** რომელსაც გადმოხტომა ჩაეთვალა წარჩინებით, წარჩინებული შეფასება მიიღო მაუდის ფაბრიკის საქარხნო-საფაბრიკო სკოლის მსმენელმა **მეკოკიშვილმაც.** კარგი იყო **პოდარუენიკოვის** და **გელაშვილის** გადმოხტომაც.

ორდენოსან საქართველოს უკვე ჰყავს საპარაშუტო სპორტის პიონერები, ისინი 16 არიან, მაგრამ სულ მალე ასეულები იქნებიან. ამას მოწმობს ის უდიდესი ინტერესი, რომელსაც იწვევს მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობაში საპარაშუტო სპორტის სიყვარული.

გ. ლეჟნიოვი.

სურათზე: პარაშუტისტი ინწკირველი, რომელიც 17-ჯერ გადმოხტა თვითმფრინავიდან

უნივერსალური მაღაზია 1 აგვისტოს გაიხსნება

ტფილისის საჩვენებელი უნივერსალური მაღაზიის (ყორესის ქ.) შენობის რემონტი და რეკონსტრუქცია თითქმის დამთავრებულია. შუა ივლისს მოთავდება სავაჭრო დარბაზების გამართვა. მაღაზია 1 აგვისტოს გაიხსნება. ამჟამად ამზადებენ მაღაზიის კადრებს და ყიდულობენ საქონელს. მაღაზიის საწყობებში უკვე 15 მილიონი მანეთის საქონელია. 1 აგვისტოსთვის ექნება 22 მილიონი მანეთის საქონელი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფართო მოხმარების საქონლის შეძენას. მაღაზიას ახლა უკვე აქვს 3 მილიონი მანეთის ბამბეული 1.200 ათასი მანეთის მზა ტანსაცმელი, 40 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, 14 ვაგონი ჭურჭელი და სხვ.

საჩვენებელ უნივერსალურ მაღაზიაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მომხმარებელთა კულტურულ მომსახურებას. მოეწყობა ცნობათა მაგიდა, ხელბარგის მისაბარებელი ოთახი. მომხმარებლებს რადიოთი სისტემატურად აცნობებენ ახალი საქონლის მიღებას.

□

ოსეთის სამხედრო გზაზე

მიმოსვლა განახლდება 7 ივლისს

26—27 ივნისს მოსულმა კოკისპირულმა წვიმამ და ამით გამოწვეულმა წყალდიდობამ ძალზე დააზიანა ოსეთის სამხედრო გზატკეცილი. მიმოსვლა გზაზე შეწყვეტილია.

გუშინ რედაქციამ ქუთაისიდან მიიღო საგზაოტრანსის უფროსის ამხ. **გ. ქურდაძის** დეპეშა, სადაც იგი იტყობინება, რომ სამუშაოები გზის აღსადგენად საჩქარო წესით მიმდინარეობს. მიმოსვლა განახლდება 7 ივლისს.

□

ბორჯომის რაიონში

უგზოობა ძირითადათ მოსპობილია.

რედაქციამ მიიღო ბორჯომის რაიაღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ჭიჭინაძისა და რაისაგზაო განყოფილების გამგის ამხ. **გერსამიას** დეპეშა, სადაც ისინი იუწყებიან, რომ მიმდინარე წლის 1 ივლისისათვის რაიონში უგზოობა ძირითადათ უკვე მოსპობილია, რითაც შესრულებულია უგზოობის ლიკვიდაციის საკავშირო სოცშეჯიბრების მთავარი პირობა.

150 მილიონი ცალი მანდარინა

ბათუმი, 2 ივლისი. აჭარისტანში მოელიან ციტრუსების უხვ მოსავალს. მანდარინის ხის ტოტები პირდაპირ დაწყვეტილია ნაყოფით. ასეთი მოსავალი არ ახსოვთ.

პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს მიერ ამასწინათ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, **წელს უნდა დამზადდეს 150 მილიონი მანდარინი და 600 ათასი ლიმონი.** 1931 წელს მოსავლიან წელს კი მიღებულ იქნა 45 მილიონი ცალი, ხოლო შარშან — 40 მილიონი.

წელს ნაყოფი გამოისხა 108 ათასმა ძირმა მცენარემ, რომლებიც 1930 წელს დარგეს.

ციტრუსოვანი კულტურების უაღრესად უხვი მოსავლის უდანაკარგოდ მიღებისათვის დასახულია მთელი რიგი ღონისძიებანი. აჭართორგი აშენებს საწყობებს, დაისვა იმ თბომავლების ტრუმების ვენტილაციის საკითხი, რომლებითაც გაიგზავნება ციტრუსები, მიმდინარეობს იმ გზების რემონტი, რომლებითაც ნაყოფი უნდა გადაზიდონ.

მომკრეფთა, მეყალიბეთა და სხვ. კადრების მოსამზადებლად მოეწყობა სპეციალური კურსები (აძს).

აკად. ლევინსონ-ლესინგის ჩამოსვლა

30 ივნისს ტფილისში ჩამოვიდა აკადემიკოსი **ლევინსონ-ლესინგი,** რომელიც მეთაურობს ს.ს.რ. კავშირის სამეცნიერო აკადემიის კომპლექსურ ექსპედიციას სვანეთის ბუნებრივი სიმდიდრეების შესასწავლად.

1 ივლისს სამეცნიერო აკადემიის საქართველოს ფილიალში შედგა ექსპედიციის წევრთა თათბირი, სახალხო კომისარიატების, დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენელთა და სამეცნიერო მუშაკების მონაწილეობით ექსპედიციის ამოცანებისა და გეგმის შესახებ. თათბირის შემდეგ აკად. ლევინსონ-ლესინგი გაემგზავრა ერევანში, სადაც ის, როგორც აკადემიის სომხეთის ფილიალის თავმჯდომარე, გაეცნობა ფილიალის სამეცნიერო, აგრეთვე საექსპედიციო სამუშაოებს.

ტფილისში დაბრუნების შემდეგ აკად. ლევინსონ-ლესინგი გაემგზავრება სვანეთში, სადაც უშუალო მონაწილეობას მიიღებს ექსპედიციის მუშაობაში.

□

გროსმეისტერი ლილიენტალი ტფილისში

30 ივნისს, სომხის, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის საჭადრაკო პავილიონში, სადაც მიმდინარეობს სრ. საქართველოს საჭადრაკო შეჯიბრება, ესტუმრა გროსმეისტერი ლილიენტალი, რომელიც გავლით ჩამოვიდა ტფილისში და მიემგზავრება მახინჯაურში.

ლილიენტალი მიესალმა შეჯიბრების მონაწილეებს. ხოლო შემდეგ, ოსტატ **სოროკინთან** და შეჯიბრების მონაწილე **ხერედესთან** ერთად, გაარჩია ამ შეჯიბრებაში გათამაშებული ორი პარტია: **ხერედა-ციციშვილისა და ფირცხალავა-ნერსესოვისა.**

ხმოვანი კინო კასპში

კასპში გაიხსნა ხმოვანი კინო-თეატრი. პირველად უჩვენეს ხმოვანი ფილმები: „**მხიარული ახალგაზრდობა**", „**უკანასკნელი მასკარადი**", „**ანკარა-თურქეთის გული**" და სხვ.

ხმოვანი კინო დიდ ინტერესს იწვევს რაიონის მშრომელ მოსახლეობაში. ხმოვანი ფილმის მოსასმენად მოდიან კოლმეურნეები შორეულ სოფლებიდან.

მოძრაობის გადაყვანა ელექტროწევაზე

[illegible] სატვირთო მატარებლები ტფილის-ხაშურის ელექტროფიცირებულ უბანზე გადაყვანილია ელექტროწევაზე.

15 ივლისიდან გათვალისწინებულია ელექტროწევაზე გადაიყვანონ ტფილისიდან დასავლეთისაკენ მიმავალი ყველა სამგზავრო მატარებლები. სამგზავრო მოძრაობის მომსახურებისათვის მიღებულია კიდევ 2 ახალი ელექტრომავალი — „ვლ—19—21" და „ვლ—19—25". ელექტრომავლები ამჟამად იმყოფებიან სარემონტო ქარხანაში და უახლოეს დროში გაიგზავნებიან უბანზე. გარდა ამისა, გამოგზავნილია 2 ელექტრომავალი „ვლ".

□

„შაჰნავაზიანი"

დაიბეჭდა და გასასყიდად გამოვიდა („სახელგამის" გამოცემა) „შაჰნავაზიანი" პოეტ **გ. ლეონიძის** და დოც. ხელ. **იორდანიშვილის** რედაქციით.

„შაჰნავაზიანი" მე-17 საუკუნის ისტორიული პოემაა, დაწერილი 1664 წელს კარის პოეტის, ვახტანგ მე-5-შაჰნავაზის კარის მდივან-მწიგნობარის ფეშანგის მიერ, რომელიც ქ. გორის ცნობილ ვაჭარ ხითარაშვილების ოჯახს ეკუთვნოდა.

პოემაში აღწერილია ქართლ-კახეთ-იმერეთ-ოდიშის ამბები 1658—1664 წლების განმავლობაში. პოემა სამხედრო და კარის ამბებთან ერთად გვაცნობს ფეოდალური საზოგადოების მორალს და ყოფა-ცხოვრებას. „შაჰნავაზიანი" შეიცავს 60 თავს, 1151 ტაეპს და შესდგება სამი ნაწილისაგან: ა) პროზითი პროლოგი, ბ) ლექსითი პროლოგი, გ) პოემის სიუჟეტი.

თვით პოემის ტექსტმა ჩვენამდე მოაღწია უნიკალური (ერთად-ერთი ხელნაწერის) სახით. ის დღეს დაცულია საკავშირო სამეცნიერო აკადემიის ყოფილ სააზიო მუზეუმში, სადაც გადაეცა აკადემ. მარი ბროსეს, რომელმაც პირველმა აღწერა პოემა. ბროსესთვის კი სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს უჩუქებია. ხელნაწერი ქართველ მეფეების ბიბლიოთეკების კუთვნილება ყოფილა. პოემას წინ უძღვის ვრცელი გამოკვლევა (66 გვ.) **გიორგი ლეონიძისა.** პოემა პირველად დაიბეჭდა. წიგნი ღირს 7 მანეთი.

□

შემთხვევები

# ქურდობა „ტორგსინში". 26 მარტს კედლის გამონგრევის საშუალებით, შაუმიანის მოედანზე გაქურდეს „ტორგსინის" მაღაზია № 4. ქურდებმა მოიპარეს 800 ოქროს მანეთის სხვადასხვა საქონელი. სისხლის სამართლის მილიციამ გამოარკვია, რომ ეს ქურდობა ჩაიდინა ცნობილმა ქურდმა-რეციდივისტმა ბ. ლ. გორიაშვილმა, მეტსახელად „ბადომ". გორიაშვილს ოთხ თანამონაწილესთან ერთად საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში ქურდობის რამდენიმე რეგისტრაცია აქვს. ქურდებს აღმოაჩნდათ ნაქურდალი ნივთების ნაწილი, რომელიც „ტორგსინს" დაუბრუნდა. ბოროტმოქმედნი დააპატიმრეს.

# ავტომობილების დაჯახება. ბრძოლის ქუჩაზე სატვირთო ავტომანქანა № 16—66, რომელსაც მართავდა შოფერი ტ. ტ. გვარჯალაძე, დაეჯახა № 12—93 ავტომანქანას (შოფერი ს. ვ. პაპანჯიევი). მანქანები დაზიანდა. შოფერებს პასუხისგებაში აძლევენ.

# ხულიგნობა. მე-6 მარშრუტის ტრამვაის ვაგონში ჩხუბისათვის და ტრამვაის კონტროლიორის მოქ. ბოჭორიშვილის ფიზიკური შეურაცყოფისათვის დააპატიმრეს ამავე ვაგონის კონდუქტორი გ. მ. მოსესოვი (მიასნიკოვის ქ. 72).

□

დისკუტი

დღეს სალ. 9 საათზე ხელოვანთა კლუბში (მახარაძის ქ. 8) გაიმართება დისკუსია თემაზე: „**არსენა მარაბდელი" მოზარდ მაყურებელთა თეატრში".** შესავალი სიტყვა ამხ. ალ. [illegible]. მომხსენებელი ამხ. დ. ჯანელიძე, თანამომხსენებელი რეჟ. [illegible] მსახიობი ალ თაყაიშვილი. კამათში მონაწილეობას მიიღებს მ. ჯავახიშვილი. შესვლა თავისუფალია.

ოქტომბერი 7, 9, 11
დამკვრელი (სახათბ. სახმოვანო) 6-30, 8, 9-30, 11
ტემპი (სახათბ. ხმოვანი) 9, 11
რ. ლიუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30
ი მ ე რ ი (სახათბ.) 9, 10-30
„26"-ის კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30
კომინტერნის სახათბ. [illegible] 8-30, 10-30

ლეონიდ უტესოვი, ლ. ორლოვა ხმოვან კომედიაში
მხიარული ახალგაზრდობა
მხატვრ. სახელმწ. სურათი
ორი მამის ქალიშვილი
დადგმის მე-3 კვირა
ახალი ხმოვანი სურათი პეტრე ვინოგრადოვის კერძო ცხოვრება
ხმოვანი კომედია
ხამი ამხანაგი
ბატალოვისა და ჟაროვის მონაწ.
მხატვრული კომედია
[illegible]
სახ. თბ. — ჯონის პირ. [illegible]
სახ. მთ. — ხმოვანი ფილმი [illegible]
ხულთა დამპყრობი
მხატვ. ფილმი ფიფქები შრიალებენ

ქ. ტფილისის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ნ. ი. ი ზ ო რ ი ა
ამით აცხადებს, რომ ა. წ. 9 ივლისს დღის 1 საათზე, ქ. ტფილისში, ცეკავშირის ბაზაში შემის ჩიხი № 4,
საჯარო ვაჭრობით
გაჰყიდის ცეკავშირის სავაჭრო სამმართველოს სპეციალიზებულ სასურსათო, საფეიქრო და სატრიკოტაჟო ბაზების ქონებას: 200 ტომარა მაკარონი, 200 კილო საზარისს, 650 კილო ჩაის 444 მეტრ [illegible], 2363 მეტრ [illegible], 1158 მეტრ [illegible], 9 შეკვრა [illegible], 575 მეტრ [illegible] მაუდს 17 თოფ [illegible], 1000 ც. [illegible] 464 ცალ [illegible] 467 ცალ [illegible], 5000 ცალ [illegible] 5000 [illegible] შეფასებულ [illegible], 155.000 მანეთად შეფასებულს, 230.000 კონა პაპიროსის ქაღალდს და სხვ. ეს ქონება შეფასებულია 370.000 მან. და გაიყიდება საქ. მეურნეობის [illegible] პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად საქ. სახ. არბიტრაჟის ძიერ 16/IV 35 წ. № 2/2016 გადაწყვეტილების. 8792

ტფილ. სამრეწვლომეურნეობო ტექნიკუმი
1935—36 ს/წლისათვის
აწარმოებს საერთო წესით პირველ კურსზე მიღებას.
მსურველმა განცხადებას თან უნდა დაურთოს საბუთები [illegible].
რაიონებიდან ჩამოსულები და [illegible] იქნებიან საერთო საცხოვრებელ ბინით და სტიპენდიით.
ტფილისი, სანაპიროს ქ. 11.
8785 დირექცია.

საქფილ გთის ფილიალი (+ ხელოვ)
4 ივლისს, მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი, რესპ. დამს. ხ. მასხიობი დ. დ. გ ო ლ ო ვ ი ნ ი.
5 ივლისს ა. შ. მელიქ-ფაშაევის გამოსათხოვარი გამოსვლა
6 ივლისს, რესპ. დამს. მსახიობის დირიჟორ ა. ვ. გაუკის პირვ. გამოსვლა.
კონცერტების დასაწ. სალ. 9 ს. შემოღებულია ბილეთების წინასწარი გაყიდვა.

მუსიკ-ჰოლის თეატრი და ბაღი
პლეხ. 3. № 123 ტელ. 3-38-06.
4 და 5 ივლისს ლ ი ო ნ ი დ უ ტ ი ო ს ო ვ ი ს გამოსათხოვარი გასტროლები.
დასაწ. სალ. 9 ს. და 30 წ.
5 ივლისიდან ყოველ დღე საღამოს 11 საათიდან დასავლეთ ევროპული ცეკვა 8 კასტელსკის ხელმძღვანელობით. ჯაზი მ. შმუკლერის და ს. ბაბოვის ხელმძღვანელობით შესასვლელი ფასი ბაღში 2 მან., [illegible] 3 მან., [illegible] 4 მანეთი.

წით. არმ. სახლის ბაღი—მე-2 ფილიალი პლეხ. 3რ 73, ტელ. 3-36-52.
4 და 5 ივლისს, პ რ ე მ ი ე რ ა
მ უ ს ი კ - ჰ ო ლ ი
[illegible]
ლ. ხოვრიაშვილი [illegible]
კონფერანსიე მ. [illegible],
დასაწყისი საღამოს 9 საათზე და 30 წ.

ოპერის და ბალეტის თეატრი
უ შ ვ ე ბ ს
ფულადათიან აბონემენტებს
1935—36 წლის სეზონისთვის.
დაიწყო კოლექტიური განაცხადების მიღება.
განაცხადთა ბლანკების მიღება შეიძლება ადგილკომებში, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებში, კავშირთა [illegible], სახელმწიფო ოპერის სალაროში. შევსებული განაცხადები ყოველდღე მიიღება თეატრის სალაროში საღამოს 7-დან 10 საათამდე
სალაროში ცალკე ბილეთები აღარ გაიყიდება. 8795

ტფილისის სახ. სას. აღმასრულებელი (ცეკავშ. საქმეზე) ამხ. შ. ჩ ი ქ ა ძ ე
ამით აცხადებს, რომ ა.-წ. 7 ივლისს, დღის 3 და 5 საათზე, ქალ. ტფილისში რუსის ქ. № 3 და ორჯონიკიძის ქ. № 2
საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის
„გრუზკონსერვპლოდოოვოშჩის" ქონებას: ხორცის კონსერვებს 32.800 ც. და 200 ყუთს, რაც შეფასებულია 50.000 მან. გაიყიდება ფოთის მუშკოოპის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად სახარბიტრაჟის ბრძ. № 1-692 19 ივნისი 1934 წ. 305

ექიმი
გერიშვილი
კანის, ვენერიული, საშარდე-სასქესო, სიფილისი და ქალის სნეულებანი.
დილით 9 12 ს. და სალ. 6—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი. სა ტუმრო „ევროპის" ყოფ. „ნოე", ჯასწვრივ, ჩოდრიშვილის (ყოფ. „პლეხანოვის") შესახვევი № 8.
10—6 8070

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი ვენერიული და კანის სნეულებანი
„914"-ის შეხსაპუება.
[illegible] მკურნალობა.
ავადმყოფთა მიღება დილის 1—12- დე და სალ. 6—8- ძე ს. ნინოშვილის ქუჩა (ყოფ. ალექს. ხედროვის) № 5 ფაბრიკა „მკერავის" პირდაპირ.
5—3 8302

ღრმად დამწუხრებული დედა ოლღა, მამა სერაპიონ, ძმა, ლონგინოზ, დები, სოლომონიდა და თინა მახარაძეები აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი
ივანე (ზურაბ) მახარაძე
დასაფლავება სოფელ ვანში (ჩოხატაურში) 7 ივლისს გამოსვენება საკუთარ ბინიდან ლენინის ქ. № 54. 4 ივლისს 3 ნახევარ საათზე სადგურზე.

დამწუხრებული დედა ოლიკო, ძმა ალექსანდრე, ბიცოლა სონა, ბიძაშვილები დავითი, იაგო და ლადო ცოლშვილით აუწყებენ საზოგადოებას მათთვის ძვირფასი
ნუშკია კირილეს ასული
ხვედელიანი-შოთაძის
გარდაცვალებას გამოსვენება 4 ივლისს 5 ს. მაგისტრალის ქ. № 33. 8786

ვალოდია, ვასილი ცოლშვილით, ნინა ქმარშვილით, აქვსენტი სერგო, ლიუბა, ლეო, გრიშა, ერეკლე ნიკოლაიშვილები იზიარებენ მწუხარებას გედეონ ნიკოლაიშვილის ცოლის დის
ელენე პოლიკარპეს-ასულ ჯანელიძის
უდროოდ გარდაცვალების გამო. 8788.

გამზრდელნი ნიტიფო, სონა ხუხუნაიშვილები, მშობლები: ალისტრო, ვოლინკა, ბაბუა მირიან, ბიძა პეტრე, ბიცოლა გოგოლი იუწყებიან, რომ 7 ივლისს ს. ზემოაკეთში დანიშნულია ახალგაზრდა მასწავლებლის
მარო (კაკალა) ხუხუნაიშვილის
სამოქალაქო პანაშვიდი. 8790

დამწუხრებული შვილი გრიშა დუმბაძე მეუღლით მარუსიათი და შვილებით იუწყებიან დაუვიწყარ
მზი დუმბაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფელ გომში (მახარაძის რაიონი) 4 ივლისს. 8791

დამწუხრებული მშობლები: სერაპიონი, ოლღა, ძმები: ლონგინოზი, ტოტო, დები: სოლომონიდა, თინა ნორა, ბაბუა გრიგოლი იუწყებიან მათთვის ძვირფასის და საყვარელ
ზურაბ სერაპიონის-ძე მახარაძის
უდროოდ გარდაცვალების გამო.
უფ.

ღრმად დამწუხრებული შვილი დარია სოლომონის ასული სარაჯიშვილი აუწყებს საზოგადოებას ძვირფას დედის
ეკატერინე გიორგის ასული
სარაჯიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება რკ. გზის საავადმყოფოდან ვერის სასაფლაოზე 4 ივლისს 5 საათზე. 8794

მშობლები ბაბინე, ივანე ძმები: ეპიფანე, შალვა, ვასო ცოლშვილით და სონია ქმარშვილით. რძალი ანეტა თავართქილაძე—ჩინაბლისა იუწყებიან, რომ მათი უსაყვარლესი.
მუცუ მინაბდის
სამოქ. პანაშვიდი დანიშნულია 6 ივლისს 1-ლ ს. ბოხვაურში. 8787

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. №34 ტელეფონები რედაქტორის 3—62—26, რედაქტორის მოადგილის 3—63—03, პასუხისმგებელი მდივნის 3—08—67, სამდივნოს 3—06—88, მასობრივი განყოფილების 3—73—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების—3—73—40, სტამბის 3—27—04, გამომცემლობის—3—51—81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული ბ. 9461